

შპს „ვი თი ჯგუფი“

2020 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

თბილისი

2021

ს ა რ ო ე ვ ი

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა	3
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა შპს „ვი თი ჯგუფის“ 2020 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე	4
შპს „ვი თი ჯგუფის“ 2020 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება:	
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	9
კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	10
კონსოლიდირებული საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	11
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება	12
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	13

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ განხორციელებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და საკუთარი კაპიტალის ცვლილებას 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის, ასევე სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვასა და განმარტებით შენიშვნებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებული მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც გარემოებები ამას შეუძლებელს ხდის.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ეფექტიანი და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი საბუღალტრო ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ასევე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების მოთხოვნებთან შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- ჯგუფის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშო პერიოდისთვის დადასტურებულია ხელმძღვანელობის მიერ და ხელმოწერილია 2021 წლის 05 აგვისტოს:

დირექტორი -----

ლევან გოგია

ფინ. დირექტორი -----

ემზარ ოთხოზორია

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2020 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

შპს „ვი თი ჯგუფის“ პარტნიორებსა და მენეჯმენტს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ვი თი ჯგუფის“ (საიდენტიფიკაციო კოდი - 205143824) (შემდგომში - „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ების) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან „ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) და საქართველოში მოქმედი ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებული ეთიკის ნორმების შესაბამისად და ჩვენ აგრეთვე შევასრულეთ IESBA კოდექსის და ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებები. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია, რომელიც არ არის ფინანსური ანგარიშგება და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნა

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის თანახმად:

„1. სდპ-მა და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოებმა უნდა მოამზადონ და სამსახურს უნდა წარუდგინონ მმართველობის ანგარიშგება...

2. მმართველობის ანგარიშგება მოიცავს:

ა) საქმიანობის მიმოხილვას

ბ) კორპორაციული მართვის ანგარიშგებას;

გ) არაფინანსურ ანგარიშგებას.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობის მიმოხილვას ამზადებენ სდპ და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოები.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ კორპორაციული მართვის ანგარიშგებას ამზადებს ამ კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირი.

5. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ არაფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ის სდპ, რომელიც შეესაბამება პირველი კატეგორიის საწარმოს ზომით კატეგორიას, ამასთანავე, საანგარიშგებო პერიოდში ჰყავს საშუალოდ 500-ზე მეტი დასაქმებული...

10. სდპ და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოები ვალდებული არიან, მმართველობის ანგარიშგება მიაწოდონ აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას. აუდიტორი/აუდიტორული ფირმა გამოთქვამს თავის მოსაზრებას ამ მუხლის მე-6 პუნქტისა და მე-7 პუნქტის „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტების მის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობისა და იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან თანხვედრეულობის თაობაზე. აუდიტის განხორციელების პროცესში სუბიექტის შესახებ მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით აუდიტორი/აუდიტორული ფირმა განსაზღვრავს არსებით უზუსტობებს და საჭიროების შემთხვევაში მიუთითებს მათ არსს“.

ჯგუფი წარმოადგენს კანონით განსაზღვრულ მეორე კატეგორიის საწარმოს. აღნიშნული მოთხოვნების შესაბამისად, ჯგუფმა ფინანსურ ანგარიშგებასთან თანადროულად წარმოადგინა მმართველობის ანგარიშგება, საქმიანობის მიმოხილვის სახით. საქმიანობის მიმოხილვაში ასახულ ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. საქმიანობის მიმოხილვა მოიცავს ინფორმაციას ჯგუფის საქმიანობის, ძირითადი მაჩვენებლების, რისკებისა და სამომავლო გეგმების შესახებ, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. ჩვენი მოსაზრება ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე. ჩვენ მიერ ჩატარებულ ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე

დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხედენილობის შესახებ

ჯგუფის 2020 წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება (საქმიანობის მიმოხილვა) თანხედენილია ამავე საანგარიშგებო წლის ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებასთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით განსაზღვრული ნაწილის (საქმიანობის მიმოხილვის) ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილი - საქმიანობის მიმოხილვა შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით. ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

გარიგების პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგად გაიცა აღნიშნული დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა:

გიორგი ცერცვაძე

შპს აუდიტური კონცერნი „ცოდნისა“

საქართველო, თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი 41.

05 აგვისტო, 2021 წელი

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

		31.12.2020 ლ	31.12.2019 ლ
	შენ.		
მოკლევადიანი აქტივები:			
ფული და ფულის ეკვივალენტები	3.1	2 610 159	1 843 223
სავაჭრო მოთხოვნები	3.2	92 098	421 193
მარაგები	3.3	361 529	323 330
გადახდილი ავანსები და წინასწარ ანაზღაურებული ხარჯები		71 723	124 825
მოთხოვნები საწესდებო კაპიტალის შევსებაზე		-	56 021
საგადასახადო აქტივები	3.9	16 417	-
სხვა მიმდინარე აქტივები		238 079	7
მოკლევადიანი აქტივები სულ:		3 390 005	2 768 599
გრძელვადიანი აქტივები:			
ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	3.4	7 760 520	6 841 484
საინვესტიციო ქონება	3.5	2 332 234	2 773 961
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	3.6	2 150 092	1 697 719
აქტივის გამოყენების უფლება	3.7	483 795	699 407
გრძელვადიანი აქტივები სულ:		12 726 641	12 012 571
აქტივები სულ:		16 116 646	14 781 170
მოკლევადიანი ვალდებულებები:			
სავაჭრო ვალდებულებები	3.8	9 227	530 516
საგადასახადო ვალდებულებები	3.9	45 162	52 252
სახელშეკრულებო ვალდებულებები		301 243	406 349
მოკლევადიანი სესხები	3.10	917	-
საიჯარო ვალდებულების მიმდინარე ნაწილი		199 605	380 079
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	3.11	135 270	239 132
მოკლევადიანი ვალდებულებები სულ:		691 424	1 608 328
გრძელვადიანი ვალდებულებები:			
გრძელვადიანი სესხები	3.10	281 631	-
საიჯარო ვალდებულების გრძელვადიანი ნაწილი		679 077	628 325
გრძელვადიანი ვალდებულებები სულ:		960 708	628 325
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	3.12	2 000	2 000
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)		13 915 507	12 513 721
მესაკუთრეთა კაპიტალი		13 917 507	12 515 721
არამაკონტროლებელი წილი		547 007	28 796
კაპიტალი სულ:		14 464 514	12 544 517
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:		16 116 646	14 781 170

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2021 წლის 05 აგვისტოს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი ----- ლევან გოგია

ფინ. დირექტორი ----- ემზარ ოთხოზორია

თანდართული შენიშვნები მე-13-დან 51-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

		კონს. 2020 ლ	კონს. 2019 ლ
ამონაგები	მენ.		
რეალიზებული საქონლის და მომსახურების თვითღირებულება	3.13	7 071 997	8 404 632
მოგება ძირითადი საქმიანობიდან		(5 116 005)	(4 332 359)
		1 955 992	4 072 273
მიწოდების ხარჯი	3.14	(125 599)	(595 839)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	3.15	(1 047 874)	(2 153 833)
საექვო მოთხოვნების კორექტირება		-	-
სხვა საოპერაციო ხარჯები		(152 815)	(80 068)
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან		629 704	1 242 533
ფინანსური შემოსავალი		98 892	(0)
ფინანსური ხარჯი	3.16	(105 607)	(480 118)
მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობებიდან		(146 184)	(85 462)
წილი მეკავშირე საწარმოების მოგებაში/(ზარალში) წილობრივი			
მეთოდის შესაბამისად		1 076 373	1 744 100
მოგება/(ზარალი) მეკავშირე საწარმოებში წილის რეალიზაციიდან		-	1 628 715
მოგება/(ზარალი) საინვესტიციო ქონების რეალიზაციიდან		-	(36 267)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	3.17	174 032	30 285
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	3.18	(198 187)	(455 456)
შემოსავალი დივიდენდებიდან		-	312 866
მოგება/(ზარალი) დაბეგრამდე		1 529 023	3 901 195
მოგების გადასახადი		(36 277)	(47 740)
წლის წმინდა მოგება		1 492 746	3 853 455
წლის სრული შემოსავალი		1 492 746	3 853 455
პერიოდის სრული შემოსავალი მიკუთვნებული:			
სათაო კომპანიის მფლობელებზე		1 553 317	3 896 927
არამაკონტროლებელი წილის მფლობელებზე		(60 571)	(43 472)

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2021 წლის 05 აგვისტოს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი ----- ლევან გოგია

ფინ. დირექტორი ----- ემზარ ოთხოზორია

თანდართული შენიშვნები მე-13-დან 51-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კონსოლიდირებული საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(1 ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/(დაუფარა ვი ზარალი)	სულ მშობელი კომპანიის მფლობელთათვის არამაკონტროლებ ს მისაკუთვნიებული	ელი წილი	სულ კაპიტალი
ნაშთი 31.12.2018	2 000	8 890 479	8 892 479	233 479	9 125 958
ცვლილება ოპერაციების შედეგად	-	3 896 927	3 896 927	(43 472)	3 853 455
კაპიტალის ცვლილება			-	126 559	126 559
დივიდენდის განაწილება		(273 684)	(273 684)	(287 771)	(561 455)
ნაშთი 31.12.2019	2 000	12 513 722	12 515 722	28 796	12 544 518
ცვლილება ოპერაციების შედეგად		1 553 317	1 553 317	(60 571)	1 492 746
კაპიტალის ცვლილება	-		-	350 000	350 000
წინა წლებში გამოცხადებული და არგაცემული დივიდენდის გაუქმება		237 944	237 944	228 783	466 727
დივიდენდის განაწილება		(389 476)	(389 476)	-	(389 476)
ნაშთი 31.12.2020	2 000	13 915 507	13 917 507	547 007	14 464 514

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2021 წლის 05 აგვისტოს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი ----- ლევან გოგია

ფინ. დირექტორი ----- ემზარ ოთხოზორია

თანდართული შენიშვნები მე-13-დან 51-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	2020	2019	შენ.
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:			
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	8 247 054	9 326 317	
სხვა შემოსულობანი საოპერაციო საქმიანობიდან	-	29	
მიმწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(4 919 195)	(4 722 159)	
გაცემული შრომის ანაზღაურება	(1 516 596)	(1 896 700)	
სამივლინებო ხარჯების ანაზღაურება	-	(16 585)	
გადახდილი გადასახადები (მოგების გადასახადის გარდა)	(1 007 691)	(1 963 973)	
გადახდილი მოგების გადასახადი	(68 731)	(58 119)	
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	(16 812)	(12 855)	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საოპერაციო საქმიანობიდან	718 028	655 954	
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:			
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	(611 073)	(1 387 760)	
ძირითადი საშუალებებისა და არამატ. აქტივების გასვლიდან შემოსულობა	-	3 133 649	
გრძელვადიანი ინვესტიციების შეძენა	(54 000)	-	
გრძელვადიანი ინვესტიციების გასვლიდან შემოსულობანი	-	1 628 715	
მიღებული პროცენტები	98 892	-	
მიღებული დივიდენდები	-	1 833 368	
მიღებული მოგების წილი ერთობლივი საქმიანობიდან	680 000	-	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საინვესტიციო საქმიანობიდან	113 819	5 207 972	
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:			
შემოსულობანი აქციების ემისიისაგან / კაპიტალის ზრდისაგან	56 021	-	
სესხების აღება	216 783	1 295 574	
სესხების დაფარვა	-	(4 960 705)	
გადახდილი პროცენტები	(9 505)	(373 295)	3.19
გადახდილი დივიდენდები	(370 000)	(260 000)	
ტრანზაქციები არამაკონტროლებელი წილთან (საწესდებო კაპიტალის შევს)	-	70 538	
ტრანზაქციები არამაკონტროლებელი წილთან (დივიდენდების გადახდა)	-	(54 117)	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საფინანსო საქმიანობიდან	(106 701)	(4 282 004)	
ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული ზრდა / კლება (ნეტო)	41 795	(381)	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:	766 941	1 581 541	
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის დასაწყისისათვის:	1 843 222	261 681	
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის ბოლოსათვის:	2 610 163	1 843 223	

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2021 წლის 05 აგვისტოს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი ----- **ლევან გოგია**

ფინ. დირექტორი ----- **ემზარ ოთხოზორია**

თანდართული შენიშვნები მე-13-დან 51-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

2020 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. წინამდებარე 2020 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ვი თი ჯგუფის“ (შემდგომში - *კომპანია* ან *ჯგუფი*) მიერ. შპს „ვი თი ჯგუფი“ დარეგისტრირებულია 2006 წლის 13 აპრილს ქ. თბილისის საჯარო რეესტრის მიერ, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 205143824, იურიდიული მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, გ.კარტოზიას ქ. N 6, ბ.3. დარეგისტრირებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის სათავო კომპანიის - შპს „ვი თი ჯგუფის“ პარტნიორებს წარმოადგენენ:

- ლევან გოგია (პ/ნ 01024020629) - 50%;
- თეიმურაზ გაბელია (პ/ნ 01025008517) - 40%;
- ირაკლი გოგია (პ/ნ 01024020630) - 10%.

1.3. ჯგუფის სათავო კომპანიის მართვის ორგანოებია:

კომპანიის მართვის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს პარტნიორთა კრება, რომელიც წარმართავს საზოგადოების საქმიანობას. პარტნიორთა კრების მიერ იქმნება დირექცია, რომელსაც სათავეში უდგას დირექტორები.

წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი - 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის დღეს არის დირექტორი - ლევან გოგია. დირექტორის მოადგილეა - თეიმურაზ გაბელია.

1.4. ჯგუფში შედის შვილობილი საწარმოები:

შპს „ბათუმის ქართულ-ამერიკული სკოლა“, საიდენტიფიკაციო კოდი 445519537, რეგისტრირებული 03.11.2017 წ. იურიდიულ მისამართზე: ქ. ბათუმი, ბაგრატიონის ქ. #117. წილობრივი მონაწილეობა - 65% (35%-ს ფლობს შპს „თაიმსერვისი“, ს/ნ 204570357);

შპს „ქემიქალს“, საიდენტიფიკაციო კოდი 405039426, რეგისტრირებული 16.04.2014 წ. იურიდიულ მისამართზე: ქ. თბილისი, გივი კარტოზიას ქ. #6, ბინა 3. წილობრივი

მონაწილეობა - 50% (40%-ს ფლობს შპს „ჯი სი ჯი“, ს/ნ 405039015, ხოლო 10%-ს ფიზიკური პირი ირაკლი გოგია).

შპს „ქართულ-ამერიკული საგანმანათლებლო საზოგადოება“, საიდენტიფიკაციო კოდი 405319588 რეგისტრირებული 18.02.2019 წ. იურიდიულ მისამართზე: ქ. თბილისი, გივი კარტოზიას ქ. #6, ბინა 1. წილობრივი მონაწილეობა - 52% (28%-ს ფლობს შპს „თაიმსერვისი“, ს/ნ 204570357, ხოლო 20%-ს - ფიზიკური პირი ანა კვანჭილაშვილი).

1.5. კომპანიას ჰყავს მეკავშირე საწარმოები:

შპს „ჯი სი ჯი“, საიდენტიფიკაციო კოდი 405039015, რეგისტრირებული 15.04.2014 წ. იურიდიულ მისამართზე: ქ. თბილისი, გივი კარტოზიას ქ. #6, ბინა 3. წილობრივი მონაწილეობა - 34% (16,50%-ს ფლობს ფიზიკური პირი ირაკლი ფირცხალაიშვილი, 33%-ს ფლობს ფიზიკური პირი გიორგი ჩრდილელი, 16,50%-ს ფლობს ფიზიკური პირი გიორგი როგავა);

შპს „ჯორჯიან ბლუბერი“, საიდენტიფიკაციო კოდი 405402602, რეგისტრირებული 10.07.2020 წ. იურიდიულ მისამართზე: ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, დემეტრე თავდადებულის ქუჩა, კორპ. 18, ბ. 51. წილობრივი მონაწილეობა - 27% (27%-ს ფლობს შპს „თაიმსერვისი“, ს/ნ 204570357, 10%-ს ფლობს ფიზიკური პირი გიორგი ბარჯაძე, 10%-ს ფლობს ფიზიკური პირი კახაბერ სონიშვილი, 10%-ს ფლობს ფიზიკური პირი გიორგი ანჩაბაძე, 10%-ს ფლობს ფიზიკური პირი გია შალამბერიძე, 4%-ს ფლობს ფიზიკური პირი ლევან ქუთათელაძე, 2%-ს ფლობს ფიზიკური პირი დავით ბახტაძე).

1.6. ჯგუფის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობებია: ბიტუმის ემულსიის წარმოება რეალიზაცია; სატრანსპორტო მომსახურება; უძრავი ქონების იჯარით გაცემა; განათლება; ნედლეულის იმპორტი და რეალიზაცია.

1.7. ბიზნეს-გარემო

ჯგუფი საქმიანობას ეწევა საქართველოში და მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები. საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას. განვითარებადი ქვეყნისთვის დამახასიათებელია ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები, რაც ხშირად წარმოშობს სამსჯელო საკითხებს.

1.8. წესდების მიხედვით, სამეურნეო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. ჯგუფი წარმოადგენს მეორე ზომითი კატეგორიის ჯგუფს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. ჯგუფის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება 2017 წლიდან წარმოებს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ მიღებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS ანუ ფასს-ები) მიხედვით. აღნიშნული კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ჯგუფის წლიური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი სავალდებულოა.

2.2. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფასს-ებთან შესაბამისობით მომზადება მენეჯმენტისგან ითხოვს დაშვებების, შეფასებებისა და მოსაზრებების გამოთქმას, რომლებიც მოქმედებენ ფინანსური აღრიცხვის პოლიტიკების გამოყენებასა და აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლისა და ხარჯების, ასევე პირობითი აქტივებისა და პირობითი ვალდებულებების თანხებზე. შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია ფასს-ების ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ ჯგუფის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელოა, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში ჯგუფი შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, ჯგუფის 2020 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. ჯგუფის მიერ 2020 წელს ფაქტობრივად გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების ძირითადი საფუძველი

ჯგუფის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს ფასს-ების შესაბამისად. ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს: კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, კონსოლიდირებულ მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კონსოლიდირებულ საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებას, კონსოლიდირებულ ფულადი ნაკადების ანგარიშგებას და განმარტებით შენიშვნებს. მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება დგება ხარჯების კლასიფიკაციით ფუნქციური დანიშნულების მიხედვით, ხოლო ფულადი ნაკადების ანგარიშგება - პირდაპირი მეთოდით.

საანგარიშგებო პერიოდი

საანგარიშგებო წელი ემთხვევა კალენდარულ წელს. 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლის ბოლოს მდგომარეობით მონაცემები იგივეა, რაც მომდევნო წლის 1 იანვრის მდგომარეობით მოყვანილი მონაცემები.

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესმოდელი მდგომარეობს იმაში, თუ როგორ მართავს კომპანია ფინანსურ აქტივებს, ფულადი ნაკადების დასაგენერირებლად. ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს მოდელი განსაზღვრავს, როგორ ხდება ფულადი ნაკადების შემოდინება, იქნება ეს სახელშეკრულებო პირობების მიხედვით, ფინანსური აქტივის გაყიდვით, თუ ორივე ერთად.

სავაჭრო მოთხოვნები, რომლებიც არ მოიცავს მნიშვნელოვან დაფინანსების კომპონენტს აღირიცხება გარიგების ღირებულებით. (რაც დადგენილია ფასს 15-ის მოთხოვნების შესაბამისად).

ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება და შეფასდება ამორტიზირებული ღირებულებით, მაშინ, როცა:

1) თუ ეს აქტივი წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც დაკავშირებული იქნება „მხოლოდ ძირის და პროცენტის გადახდებთან“ (SPPI) ნარჩენ ძირ თანხაზე. აღნიშნული შეფასება მოიხსენიება როგორც SPPI ტესტი და ხორციელდება კონკრეტული ფინანსური

ინსტრუმენტის დონეზე. საპროცენტო ამონაგები გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით;

2) როცა კომპანია ფლობს ფინანსურ აქტივებს მათგან გამომდინარე ფულადი ნაკადების მიღების მიზნით.

სხვა შემთხვევებში, ფინანსური აქტივი აღირიცხება რეალური (სამართლიანი) ღირებულებით, რეალურ ღირებულებაში ცვლილების მოგება-ზარალის ანგარიშებზე ასახვით.

ამონაგების აღიარება

ამონაგები არის შემოსავალი, რომელიც წარმოიქმნება კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობისას. ამონაგები აღიარდება გარიგების ფასით. გარიგების ფასი არის ანაზღაურება, რომლის მიღებასაც კომპანია მოელის დაპირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის შედეგად, მესამე მხარის სახელით ამოღებული თანხების გარეშე.

ამონაგები აღიარდება ფასდათმობების, საქონლის დაბრუნების დღე-ის, ექსპორტის საბაჟო გადასახადის, ზოგიერთი აქციის და სხვა მსგავსი სავალდებულო გადახდების გარეშე.

საქონლის გაყიდვა. გაყიდვა აღიარდება საქონელზე კონტროლის გადაცემისას, ანუ როდესაც საქონელი მიეწოდება მომხმარებელს, როცა მომხმარებელს სრული კონტროლი აქვს საქონელზე და არ არსებობს შეუსრულებელი მოვალეობა, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს მომხმარებლის მიერ საქონლის მიღებაზე. მიწოდება ხდება მაშინ, როდესაც საქონელი მიწოდებული იქნება კონკრეტულ ადგილზე, მოძველებისა და დაკარგვის რისკები მომხმარებელს გადაეცემა, მომხმარებელი მიიღებს საქონელს ხელშეკრულების შესაბამისად, ან მიღების ვადა ამოიწურება ან კომპანიას ობიექტური მტკიცებულება აქვს, რომ მიღებისთვის საჭირო ყველა კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია.

ფასდათმობით გაყიდვები აღიარდება ხელშეკრულებაში მითითებული ფასის საფუძველზე, შეფასებული ფასდათმობის გამოკლებით. ფასდათმობის შესაფასებლად დაგროვილ გამოცდილებას იყენებენ, მოსალოდნელი ღირებულების მეთოდის მეშვეობით და ამონაგები აღიარდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მაღალია ალბათობა, რომ მნიშვნელოვანი დაბრუნება არ მოხდება. თანხის დაბრუნების ვალდებულება (რაც სავაჭრო და სხვა ვალდებულებაში აისახება) აღიარდება მოსალოდნელი მასშტაბის ფასდათმობისთვის, რაც მომხმარებლისთვის გადასახდელია საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე განხორციელებულ გაყიდვებთან დაკავშირებით.

მიიჩნევა, რომ დაფინანსების ელემენტი არ არსებობს, თუ გაყიდვები მოკლე პერიოდის საკრედიტო პირობით ხორციელდება, რაც ბაზარზე არსებული პრაქტიკის თანმიმდევრულია.

მოთხოვნა აღიარდება საქონლის მიწოდებისას, რადგან ეს არის დროის მომენტი, როდესაც ანაზღაურების მიღება უპირობოა, რადგან გადახდის განხორციელების ვადის დადგომამდე მხოლოდ დროის გასვლაა საჭირო.

მომსახურების გაწევა. კომპანია უწევს სხვადასხვა სახის მომსახურებას კლიენტებს, მათ შორის იჯარის მომსახურებას, შენახვის მომსახურებას, მარცვლეულის ამოტვირთა/გადატვირთვის მომსახურებას. ამონაგები მიწოდებული მომსახურებიდან აღიარდება იმ სააღრიცხვო პერიოდში, როდესაც მოხდება მომსახურების გაწევა.

დაფინანსების კომპონენტები. კომპანია არ მოელის ისეთი ხელშეკრულებების გაფორმებას, რომელთა მიხედვით საქონლის ან/და მომსახურების მომხმარებლისათვის გადაცემასა და მომხმარებლის მიერ საფასურის გადახდას შორის პერიოდი ერთ წელს აღემატება. აღნიშნულის გამო, კომპანია არ აკორექტირებს ოპერაციის ფასებს ფულის დროითი ღირებულების ფაქტორის მიხედვით.

საპროცენტო შემოსავალი. საპროცენტო შემოსავალი აღირიცხება ყველა სავალო ინსტრუმენტისთვის, გარდა სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებულისა, დარიცხვის საფუძველზე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ამ მეთოდით საპროცენტო შემოსავლის სახით გადავადდება მხარეებს შორის ხელშეკრულების ყველა საკომისიო, რაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია, ასევე ყველა პრემია ან ფასდათმობა. სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებული სავალო ინსტრუმენტების საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება ნომინალური საპროცენტო განაკვეთით და მოგება-ზარალში აისახება „ფინანსური შემოსავლის“ მუხლში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება ჯგუფის შესაბამის სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიკვლება სამუშაო ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება რეალური ღირებულებით, კონვერტირდება სამუშაო ვალუტაში რეალური ღირებულების განსაზღვრის დღისთვის

არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დასაქმებულთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით, თუ ჯგუფს აქვს ამ თანხის სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულში დასაქმებულთაგან მიღებული მომსახურების საფუძველზე და ეს ვალდებულებები შეიძლება შეფასდეს საიმედოდ.

საექვო მოთხოვნების აღიარება

დებიტორული სავაჭრო დავალიანების გაუფასურება ხდება, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები, რომ კომპანია ვერ შეძლებს შესაბამისი მისაღები მოთხოვნების მიხედვით კუთვნილი თანხის სრულად ან ნაწილობრივ მიღებას.

ისეთი ოპერაციების შედეგად წარმოქმნილ სავაჭრო მოთხოვნებთან ან ან სახელშეკრულებო აქტივებთან დაკავშირებით, რომლებიც ფასს 15-ის მოქმედების სფეროს განეკუთვნება და ამასთან, ფასს 15-ის შესაბამისად არ შეიცავს მნიშვნელოვან დაფინანსების კომპონენტს (ან როდესაც კომპანია იყენებს პრაქტიკული ხასიათის გამარტივებულ მიდგომას ხელშეკრულებებისთვის, რომელთა ხანგრძლივობა ერთი წელი, ან ერთ წელზე ნაკლებია), გაუფასურების ზარალის რეზერვი ყოველთვის ფასდება თანხით, რომელიც არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლია. 1 წლით ან მეტი ვადით გადაუხდელ სავაჭრო მოთხოვნებზე გაუფასურებული ზარალი აღიარდება 100%-ის ოდენობით, 3 თვემდე ვადით გადაუხდელ სავაჭრო მოთხოვნებზე გაუფასურების ზარალი არ აღიარდება, ხოლო სხვა სავაჭრო მოთხოვნებზე - 10%-დან 50%-მდე, თანხის გადაუხდელობის ხანგრძლივობიდან გამომდინარე.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვში ცვლილებების ოდენობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშებზე.

გაუფასურებული მოთხოვნის ჩამოწერა აისახება არსებული გაუფასურების ზარალის რეზერვის ანგარიშზე.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) საინვესტიციო ქონების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება შემცირებად ნაშთთა მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როცა დაიწყო ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება.

დ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთის დარიცხვა ხდება კლებად ნაშთთა მეთოდით, საბალანსო და ნარჩენ სალიკვიდაციო ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობა-ნაგებობები	- 2%;
ავტოსატრანსპორტო საშუალებები	- 10%;
მანქანა-დანადგარები	- 20%;
კომპიუტერული ტექნიკა და აღჭურვილობა	- 20%;
ავეჯი და სხვა ინვენტარი	- 20%;
სხვა ძირითადი საშუალებები	- 20%.

ე) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 15%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში

მეკავშირე საწარმოები წარმოადგენენ კომპანიებს, რომლებშიც ჯგუფი ზოგადად ფლობს ხმის უფლების 20%-დან 50%-მდე, ან სხვაგვარად შესწევს უნარი მოახდინოს მნიშვნელოვანი ზემოქმედება, მაგრამ რომელსაც ის არ აკონტროლებს ან სხვა პირთან ერთად აკონტროლებს. მეკავშირე საწარმოებში ინვესტიციები გაიანგარიშება წილობრივი მეთოდით.

წილობრივი მეთოდის თანახმად, მეკავშირე საწარმოში განხორციელებული ინვესტიცია თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით და შემდგომში მისი საბალანსო ღირებულება იზრდება ან მცირდება, რათა აისახოს შემქმნის თარიღის შემდგომ პერიოდში ინვესტორის წილი ინვესტირებული საწარმოს მოგებაში ან ზარალში. ინვესტორის წილი ინვესტირებული საწარმოს მოგებაში, ან ზარალში აღიარდება ინვესტორის მოგებაში, ან ზარალში. ინვესტირებული საწარმოდან დივიდენდების ან სხვა სახის განაწილებული თანხების მიღება ამცირებს ინვესტიციის საბალანსო ღირებულებას.

2.5. გადასახადები

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე და გადავადებული მოგების გადასახადების ხარჯებს.

გადავადებული მოგების გადასახადი ან გადავადებული საგადასახადო აქტივი გამოითვლება საბალანსო ვალდებულებების მეთოდით ყველა იმ დროებითი სხვაობების

გათვალისწინებით, რომლებშიც წარმოიქმნება ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით გამოთვლილ აქტივსა (ვალდებულებებსა) და საგადასახადო კანონმდებლობის გათვალისწინებით გამოთვლილ აქტივებს (ვალდებულებებს) შორის.

მიმდინარე მოგების გადასახადი 2017 წლამდე გამოითვლებოდა საგადასახადო მოგებიდან (საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული საგადასახადო შემოსავლებსა და გამოსაქვით ხარჯებს შორის სხვაობიდან) მოგების გადასახადის მოქმედი განაკვეთის გამოყენებით.

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში შევა 2023 წლის 1 იანვრიდან.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2020 წელს საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.6. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის ჯგუფის სამუშაო ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი ჯგუფის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.7. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=3.2766 ლარი; 1 EUR=4.0233 ლარი.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

2.8. ახალი სტანდარტები, რომლებიც გამოიცა და ჯერ არ არის დანერგილი

სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის ჯერ ძალაში არ შესულა, და რომლებმაც შეიძლება იმოქმედოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე, მოცემულია ქვემოთ. კომპანიის ამ სტანდარტების მიღებას აპირებს მათი ძალაში შესვლისთანავე. ხელმძღვანელობა არ მოელის, რომ ახალი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საქმიანობას შორის აქტივების გაყიდვა ან შეტანა - ცვლილებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს, ძალაში შედის ბასს-ის მიერ დადგენილი თარიღით ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ეს ცვლილებები ეხება ფასს 10-ისა და ბასს 28-ის მოთხოვნებს შორის შეუსაბამობას ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საქმიანობას შორის აქტივების გაყიდვასთან ან შეტანასთან დაკავშირებით. ამ ცვლილებების ძირითადი შედეგია სრული შემოსავლის ან ზარალის აღიარება, როდესაც ოპერაცია ბიზნესს ეხება. შემოსულობა ან ზარალი ნაწილობრივ აღიარდება, როდესაც ოპერაცია ეხება აქტივებს, რომელიც ბიზნესს არ წარმოადგენს, თუნდაც ამ აქტივებს შვილობილი საწარმო ფლობდეს. ამჟამად კომპანია ახორციელებს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ამ ცვლილებების გავლენის შეფასებას. კომპანია არ მოელის, რომ ამ ცვლილებებს გავლენა ექნებათ მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ფასს 17 „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ (გამოცემულია 2017 წლის 18 მაისს, ძალაში შედის 2021 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ფასს 17-ით ჩანაცვლდა ფასს 4, რომელიც კომპანიებს აძლევდა თავისუფლებას, რათა გაეგრძელებინათ სადაზღვევო ხელშეკრულებების ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება არსებული პრაქტიკის მიხედვით. შედეგად, ინვესტორებისათვის რთული იყო სხვაგვარად მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური საქმიანობის შედეგების შედარება. ფასს 17 არის ერთ პრინციპზე დაფუძნებული სტანდარტი ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვისათვის, მათ შორის მზღვეველის მიერ ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებებისათვის. სტანდარტით მოითხოვება სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფების აღიარება და აღრიცხვა: (i) სამომავლო ფულადი ნაკადების რისკის გათვალისწინებით კორექტირებული დისკონტირებული ღირებულებით (სრული

ფულადი ნაკადები), რომლებიც მოიცავს ყველა არსებულ ინფორმაციას სრული ფულადი ნაკადების შესახებ, ბაზარზე დაკვირვებად ინფორმაციასთან თანმიმდევრული გზით; მიმატებული (თუ ეს ღირებულება ვალდებულებაა) ან გამოკლებული (თუ ეს ღირებულება აქტივია) (ii) თანხა, რომელიც წარმოადგენს გამოუმუშავებელ მოგებას ხელშეკრულებების ამ ჯგუფში (სახელშეკრულებო მომსახურების მარჯა). მზღვევები აღიარებენ სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფიდან მიღებულ მოგებას იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ისინი უზრუნველყოფენ დაზღვევას, აღებული რისკისგან გათავისუფლებამდე. თუ ხელშეკრულებების მოცემული ჯგუფი ზარალიანი გახდება, საწარმო ზარალს მაშინვე აღიარებს. კომპანია არ მოელის, რომ ამ ცვლილებებს გავლენა ექნებათ მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიან და გრძელვადიან ვალდებულებებად – ცვლილებები ბასს 1-ში 1 (გამოცემულია 2020 წლის 23 იანვარს, ძალაში შედის 2022 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ამ მცირე მასშტაბის ცვლილებებით განმარტებულია, რომ ვალდებულებები კლასიფიცირდება მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებებად, რაც დამოკიდებულია იმ უფლებებზე, რომლებიც არსებობს საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს. ვალდებულება გრძელვადიანია, როდესაც საწარმოს საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს აქვს არსებითი უფლება, რომ ვალდებულების დაფარვა გადაავადოს სულ მცირე თორმეტი თვით. სახელმძღვანელო მითითებებით აღარ მოითხოვება, რომ მსგავსი უფლება იყოს უპირობო. ხელმძღვანელობის მოლოდინი იმის თაობაზე, საბოლოოდ გამოიყენებენ თუ არა ანგარიშსწორების გადავადების უფლებას, გავლენას არ ახდენს ვალდებულებების კლასიფიკაციაზე. გადავადების უფლება არსებობს მხოლოდ მაშინ, როდესაც საწარმო ყველა შესაბამის პირობას აკმაყოფილებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულება კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი ვალდებულება, თუ რომელიმე პირობა დაირღვევა საანგარიშგებო თარიღით ან მანამდე, თუნდაც ამ პირობაზე უარი მომდინარეობდეს გამსესხებლისგან, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ. ამასთან, ცვლილებები მოიცავს იმ ვალის კლასიფიკაციის მოთხოვნების განმარტებას, რომელიც კომპანიამ შეიძლება დაფაროს მისი კაპიტალში კონვერტირებით. „დაფარვა“ განმარტებულია, როგორც ვალდებულების აღმოფხვრა ფულადი სახსრებით, სხვა რესურსებით, რომლებშიც ეკონომიკური სარგებელია განივთებული, ან საწარმოს საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტებით. გამოწვევის არსებობს კონვერტირებადი ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც შეიძლება კაპიტალში კონვერტირდეს, თუმცა მხოლოდ იმ ინსტრუმენტებისთვის, რომელთა კონვერსიის ოფციონი კლასიფიცირებულია წილობრივ ინსტრუმენტად, როგორც რთული ფინანსური

ინსტრუმენტის ცალკე კომპონენტი. კომპანია ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ვალდებულებების კლასიფიკაცია გრძელვადიანად და მოკლევადიანად, ძალაში შესვლის თარიღის გადავადება - შესწორებები ბასს 1-თვის (გამოცემულია 2020 წლის 15 ივლისს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის იანვრიდან ან მის შემდეგ). ეს ბასს 1-ის შესწორება ვალდებულებების გრძელვადიანად და მოკლევადიანად კლასიფიცირებაზე, გამოცემულია 2020 წლის იანვარში, თავდაპირველი ძალაში შესვლის თარიღით - 2022 წლის 1 იანვარი. თუმცა, COVID-19 პანდემიის გამო, ძალაში შესვლის თარიღი გადავადდა ერთი წლით, რათა კომპანიებს მიეცეთ მეტი დრო, განახორციელონ კლასიფიკაციის ცვლილებები, შესწორებული სახელმძღვანელო მითითებების მიხედვით. ჯგუფი ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

შემოსულობა გამიზნულ გამოყენებამდე; წამგებიანი კონტრაქტები - ხელშეკრულების პირობების შესრულების დანახარჯები, მინიშნება კონცეპტუალურ საფუძვლებზე - მცირემასშტაბიანი ცვლილებები ბასს 16-ში, ბასს 37-სა და ფასს 3-ში, და ფასს-ების წლიური გაუმჯობესებები, 2018-2020 – ცვლილებები ფასს 1-ში, ფასს 9-ში, ფასს 16-სა და ბასს 41-ში (გამოცემულია 2020 წლის 14 მაისს, ძალაში შედის 2022 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ბასს 16-ში ცვლილებით აკრძალულია საწარმოს მიერ ძირითადი საშუალებების ღირებულებიდან იმ შემოსავლის გამოქვითვა, რომელიც მიღებულია ისეთი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან, რომელთაც საწარმო გამიზნული დანიშნულებით ამზადებს. მსგავსი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი, მათი წარმოების დანახარჯებთან ერთად, მოგება-ზარალში აღიარდება. ამ მუხლების ღირებულება არ შეიცავს იმ აქტივის ცვეთას, რომლის ტესტირებაც მიმდინარეობს, რადგან ის მზად არ არის გამიზნული დანიშნულებით გამოყენებისთვის. ბასს 16-ში ცვლილებით ასევე განმარტებულია, რომ აქტივის ტექნიკური და ფიზიკური შედეგების შეფასებისას საწარმო „ახორციელებს ტესტირებას, რათა დაადგინოს აქტივი სათანადოდ ფუნქციონირებს თუ არა“. აქტივის ფინანსური შედეგები შეუსაბამოა ამ შეფასებისთვის. ამგვარად, აქტივი შეიძლება ვარგისი იყოს ხელმძღვანელობის მიერ გამიზნული დანიშნულებით გამოყენებისთვის და მას ცვეთა ერიცხებოდეს მანამ, სანამ ის მიაღწევს საოპერაციო შედეგების დონეს, რომელსაც ხელმძღვანელობა მოელის.

ბასს 37-ში ცვლილებით განმარტებულია განმარტებულია „ხელშეკრულების შესრულების დანახარჯების“ მნიშვნელობა. ახსნილია, რომ ხელშეკრულების შესრულების პირდაპირი დანახარჯები მოიცავს ამ ხელშეკრულების შესრულების ნაზარდ დანახარჯებს; ასევე, მის შესრულებასთან დაკავშირებული სხვა დანახარჯების განაწილებას. ცვლილებაში განმარტებულია ასევე, რომ წამგებიანი ხელშეკრულებისთვის ცალკე ანარიცხის გაკეთებამდე საწარმო აღიარებს იმ აქტივების გაუფასურების ზარალს, რომლებიც გამოყენებულ იქნა ამ ხელშეკრულების შესრულებისთვის, ნაცვლად ამ ხელშეკრულებისთვის გამოყოფილი აქტივებისა.

ფასს 3-ში ცვლილება შევიდა 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებთან მიმართებით, რათა განისაზღვროს აქტივი ან ვალდებულება საწარმოთა გაერთიანებისას. ამ ცვლილებამდე ფასს 3 ეყრდნობოდა 2001 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებს. ამასთან, ფასს 3-ს ახალი გამონაკლისი დაემატა ვალდებულებებისა და პირობითი ვალდებულებებისთვის. გამონაკლისი გულისხმობს, რომ საწარმომ, რომელიც ფასს 3-ს იყენებს, ზოგიერთი სახის ვალდებულებებსა და პირობით ვალდებულებებთან მიმართებით უნდა გამოიყენოს ბასს 37 ან ფასიკ 21, ნაცვლად 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებისა. ამ ახალი გამონაკლისის გარეშე საწარმო ისეთ ვალდებულებებს აღიარებდა საწარმოთა გაერთიანებაში, რომლებსაც ის არ აღიარებდა ბასს 37-ის შესაბამისად. ამგვარად, საწარმოს შეძენისთანავე მოუწევდა მსგავსი ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა და შემოსულობის აღიარება, რომელიც ეკონომიკურ შემოსულობას არ წარმოადგენს. ამასთან, განმარტებულია, რომ შემძენმა პირობითი აქტივები არ უნდა აღიაროს შეძენის თარიღით, როგორც ბასს 37-ში არის განმარტებული.

ფასს 9-ში შეტანილი ცვლილება ეხება იმის განსაზღვრას, რომელიც საზღაური უნდა შევიდეს ფინანსური ვალდებულებების აღიარებისთვის ჩატარებულ 10%-ის ტესტში. ღირებულება ან საზღაური შეიძლება გადახდილ იქნეს მესამე მხარის ან გამსესხებლისთვის. ამ ცვლილების მიხედვით მესამე მხარისთვის გადახდილი ღირებულება ან საზღაური არ უნდა შევიდეს აღნიშნული 10%-ის ტესტში.

ცვლილება შევიდა მე-13 საილუსტრაციო მაგალითში, რომელიც თან ერთვის ფასს 16-ს, რათა ამოღებულიყო საიჯარო ქონების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით მეიჯარის მიერ განხორციელებული გადახდების ილუსტრირება. ამ ცვლილების მიზეზია იჯარის სტიმულირების გადახდების აღრიცხვასთან დაკავშირებული გაურკვევლობის გამორიცხვა.

ფასს 1-ით ნებადართულია გამონაკლისის გამოყენება, თუ შვილობილი საწარმო ძირითად საწარმოზე გვიან მიიღებს სამოქმედოდ ფასს-ებს. შვილობილ საწარმოს შეუძლია თავისი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებით შეფასება, რაც აისახება ძირითადი საწარმოს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, ძირითადი საწარმოს ფასს-ებზე გადასვლის თარიღის საფუძველზე, თუ შესწორებები არ ყოფილა შეტანილი კონსოლიდირების პროცედურებისთვის და საწარმოთა იმ გაერთიანების ეფექტისთვის, რომლის ფარგლებში ძირითადმა საწარმომ შეიძინა შვილობილი საწარმო. ფასს 1-ში ცვლილება შევიდა, რათა საწარმოებს, რომლებმაც ფასს 1-ის აღნიშნული გამონაკლისით ისარგებლეს, შეძლებოდათ ასევე კუმულაციური გადაყვანის სხვაობების შეეფასებინათ ძირითადი საწარმოს მიერ ანგარიშგებული თანხებით, ძირითადი საწარმოს ფასს-ებზე გადასვლის თარიღის საფუძველზე. ფასს 1-ის აღნიშნული ცვლილება ვრცელდება ზემოაღნიშნულ კუმულაციურ გადაყვანის სხვაობებზე, რათა შემცირდეს პირველად შემომღებთა დანახარჯები. ეს ცვლილება ვრცელდება ასევე მეკავშირე საწარმოებსა და ერთობლივ საქმიანობებზე, რომლებიც ფასს 1-ის იგივე გამონაკლისით სარგებლობენ.

ამოღებულ იქნა მოთხოვნა საწარმოების მიმართ, რომ რეალური ღირებულების ბასს 41-ის მიხედვით შეფასებისას გამოერიცხათ ფულადი ნაკადები დაბეგვრისთვის. ამ ცვლილების მიზანია სტანდარტის იმ მოთხოვნასთან შესაბამისობა, რომელიც გულისხმობს ფულადი ნაკადების დაბეგვრის შემდეგ საფუძველზე დისკონტირებას. ჯგუფი ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

შესწორებები ფასს 17-სთვის და შესწორება ფასს 4-სთვის (გამოცემულია 2020 წლის 25 ივნისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდეგ წლიური პერიოდებისთვის). შესწორებები მოიცავს მთელ რიგ განმარტებებს ფასს 17-ის დანერგვის გასაადვილებლად, ამარტივებს სტანდარტისა და გადასვლის მოთხოვნების ნაწილს. შესწორებები ეხება ფასს 17-ის 8 სფეროს და ისინი არაა გამიზნული სტანდარტის ფუნდამენტური პრინციპების შესაცვლელად. განხორციელებულია მომდევნო შესწორებები ფასს 17-ისთვის:

- ***ძალაში შესვლის თარიღი:*** ფასს 17-ის ძალაში შესვლის თარიღი (ცვლილებების ჩათვლით) გადავადებულია ორი წლით, იმ ყოველწლიური საანგარიშო პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ; და ფასს 4-ში ფასს 9-ის გამოყენების დროებითი გათავისუფლების ვადის გასვლის თარიღი ასევე გადავადებულია წლიური საანგარიშო პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ.

- *დაზღვევის შეძენისთვის ფულადი ნაკადების მოსალოდნელი ანაზღაურება:* საწარმოს მოეთხოვება შესყიდვის ხარჯების ნაწილის გამოყოფა ხელშეკრულების მოსალოდნელ განახლებასთან დაკავშირებით და ამ ხარჯების, როგორც აქტივის, აღიარება, სანამ საწარმო არ აღიარებს ხელშეკრულების განახლებას. საწარმოებს მოეთხოვებათ შეაფასონ აქტივის ამოღებადობა ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში წარადგინონ აქტივის შესახებ კონკრეტული ინფორმაცია.
- *სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა, რომელიც მიკუთვნებადია საინვესტიციო მომსახურებებზე:* დაფარვის ერთეულები უნდა განისაზღვროს, როგორც სარგებლის რაოდენობის გათვალისწინებით, ასევე დაზღვევის დაფარვისა და საინვესტიციო მომსახურების სავარაუდო პერიოდის გათვალისწინებით, ცვალებადი საზღაურის მიდგომის საფუძველზე სხვა ხელშეკრულებებისა და „ინვესტიციის დაბრუნების მომსახურების“ ზოგადი მოდელის მიხედვით. საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები უნდა შედიოდეს სადაზღვევო ხელშეკრულების ფარგლებში იქამდე, სანამ საწარმო ახორციელებს ისეთ საქმიანობას, რომელიც პოლისის მფლობელისთვის, დაზღვევის დაფარვიდან გამომდინარე, გაზრდის მის სარგებელს.
- *ხელახალი დაზღვევის გაფორმებული ხელშეკრულებები - ზარალის ანაზღაურება:* როდესაც საწარმო აღიარებს ზარალს ძირითადი სადაზღვევო ხელშეკრულებების პირველად აღიარების ან კომპანიისთვის წამგებიანი საბაზისო სადაზღვევო ხელშეკრულებების დამატების შედეგად, საწარმომ უნდა დააკორექტიროს დაკავშირებული კომპანიის სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა. ანაზღაურებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებებისა და აღიარებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებების შემოსულობა. ჩატარებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებიდან მიღებული ზარალის ოდენობა განისაზღვრება ძირითად სადაზღვევო ხელშეკრულებებზე აღიარებული ზარალის და სადაზღვევო ხელშეკრულებებზე მოთხოვნების პროცენტული მაჩვენებლის გამრავლებით, რომელთა ანაზღაურებას საწარმო მოელის ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებიდან. ეს მოთხოვნა ვრცელდება მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულება აღიარებულია ძირითად სადაზღვევო ხელშეკრულებებზე ზარალის აღიარებამდე ან ამავე დროს.
- *სხვა შესწორებები:* სხვა შესწორებები მოიცავს ზოგიერთი საკრედიტო ბარათის (ან მსგავსის) ხელშეკრულებების და ზოგიერთი სასესხო ხელშეკრულებების სფეროს გამორიცხვას; სადაზღვევო ხელშეკრულების აქტივებისა და ვალდებულებების

წარდგენას ჯგუფების ნაცვლად პორტფელში; ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. რისკის შემცირების შესაძლებლობის გამოყენებას იმ ფინანსური რისკების შერბილებისას, რომელიც იყენებს არსებულ ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებებს და არაწარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით; ბუღალტრული პოლიტიკის არჩევანს წინა შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებაში ფასს 17-ის გამოყენებისას გაკეთებული შეფასებების შესაცვლელად; საშემოსავლო გადასახადის გადახდებისა და ქვითრების ჩართვას, რომლებიც დაზღვევის მფლობელს კონკრეტულად ეკისრება სადაზღვევო ხელშეკრულების პირობებით, დაკვეთის შესრულების ფულად ნაკადებში, შერჩეული გარდამავალი შეღავათები და სხვა მცირე შესწორებები. ჯგუფი არ მოელის, რომ ეს ცვლილებები არსებით გავლენას მოახდენენ მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

საპროცენტო განაკვეთის ათვლის წერტილის (IBOR) რეფორმა – შესწორებების მეორე ფაზა ფასს 9, ბასს 39, ფასს 7, ფასს 4 და ფასს 16 -სთვის (გამოცემულია 2020 წლის აგვისტოში და ძალაშია 2021 წლის 1 იანვარს დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). მეორე ფაზის შესწორებები იმ საკითხებს ეხება, რომელიც რეფორმების გატარების შედეგად წარმოიქმნება, მათ შორის ერთი ათვლის წერტილის ალტერნატიული ვარიანტით შეცვლა. შესწორებები ფარავს შემდეგ სფეროებს:

- *IBOR-ის რეფორმის შედეგად სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების განსაზღვრის საფუძვლის ცვლილების აღრიცხვა:* ინსტრუმენტებისთვის, რომლებზეც ვრცელდება ამორტიზებული ღირებულების შეფასება, შესწორებები მოითხოვს , რომ საწარმოებმა, გაითვალისწინონ ცვლილების საფუძველი, როგორც პრაქტიკული მიზანშეწონილობა, აღრიცხონ IBOR-ის რეფორმის შედეგად მიღებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განახლებით, ფასს 9-ის B5.4.5 პუნქტის სახელმძღვანელო მითითების გამოყენებით. შედეგად, არ აღიარდება მყისიერი შემოსულობა ან ზარალი. ეს პრაქტიკული მიზანშეწონილობა მხოლოდ ისეთი ცვლილებისთვის და იმ დონემდე გამოიყენება, სანამ ის აუცილებელია, როგორც IBOR-ის რეფორმის შემდგომი შედეგი, ხოლო ახალი საფუძველი, ეკონომიკურად უტოლდება მანამდე არსებულ საფუძველს. მზღვეველებს, რომლებიც იყენებენ ფასს-9-დან დროებით გათავისუფლებას, ასევე მოეთხოვებათ იგივე პრაქტიკული მიზანშეწონილობის გამოყენება. შესწორებები განხორციელდა ფასს 16-შიც, რათა IBOR-ის რეფორმის შედეგად სამომავლო საიჯარო გადახდების განსაზღვრის საფუძველის ცვლილების გამომწვევი იჯარის

მოდIFIციების აღრიცხვისას, იგივე პრაქტიკული მიზანშეწონილობის გამოყენება მოეთხოვოთ მოიჯარეებსაც.

- *ჰეჯირების ურთიერთობებში რისკის კომპონენტებისთვის, რომლებიც განსაზღვრულია, როგორც არასახელშეკრულებო, 1-ლი ფაზის საშეღავათო პერიოდის დასრულების თარიღი:* მე -2 ფაზის შესწორებების თანახმად, საწარმო, პერსპექტიულ საფუძველზე, უნდა შეაჩეროს 1-ლი ეტაპის საშეღავათო პერიოდი რისკების იმ კომპონენტებისთვის, რომლებიც განსაზღვრულია, როგორც არასახელშეკრულებო, ან არასახელშეკრულებო რისკის კომპონენტებში შეტანილი ცვლილებების განხორციელების, ან ჰეჯირების ურთიერთობის შეწყვეტისას, რომელიც უფრო ადრე მოხდება . რისკის კომპონენტებისთვის შესწორებების პირველი ფაზის დასრულების თარიღი არ არის მითითებული.
- *დამატებითი დროებითი გამონაკლისები კონკრეტული ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნების გამოყენებისგან:* მე-2 ფაზა გვთავაზობს ჰეჯირების აღრიცხვის სპეციფიკური მოთხოვნების გამოყენებისგან დამატებით დროებით შეღავათს ბასს 39 და ფასს 9-ის ჰეჯირების ურთიერთობებისგან, რომლებზეც პირდაპირ გავლენას ახდენს IBOR- ის რეფორმა.
- *IBOR-ის რეფორმასთან დაკავშირებული ფასს 7-ის დამატებითი განმარტებები:* შესწორებები მოითხოვს შემდეგ განმარტებებს: (i) როგორ მართავს საწარმო ალტერნატიული ათვლის წერტილის განაკვეთებზე გადასვლას, ამის პროგრესი და გადასვლისგან გამოწვეული რისკები (ii) იმ წარმოებულების და არაწარმოებულების შესახებ რაოდენობრივი ინფორმაცია, რომლებსაც გადასვლის პროცესი ჯერ წინ აქვთ, და რომელიც გადანაწილებულია მნიშვნელოვანი საპროცენტო განაკვეთის ათვლის წერტილის მიხედვით, და (iii) რისკების მართვის სტრატეგიის ნებისმიერი ცვლილების IBOR-ის რეფორმის შედეგად აღწერა. ჯგუფი ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ბასს 1-ში და ფასს-ის პრაქტიკულ დებულება 2-ში შეტანილი ცვლილებები: სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებულ წლიურ პერიოდებზე). ბასს 1-ში შეტანილია ცვლილებები, რათა კომპანიებს მოეთხოვოთ განმარტონ თავიანთი არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია და არა მათი მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა.

შესწორებით გათვალისწინებული იქნა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის განსაზღვრება. შესწორებით ასევე განმარტეს, რომ სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია, სავარაუდოდ, არსებითი იქნება, თუ მის გარეშე, ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს არ შეეძლებათ გაეცნონ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ სხვა არსებით ინფორმაციას. შესწორებამ წარმოადგინა სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის საილუსტრაციო მაგალითები, რომლებიც, სავარაუდოდ, არსებითად ჩაითვლება საწარმოს ფინანსური ანგარიშგებისათვის. გარდა ამისა, ბასს 1-ში შესწორებით დაზუსტდა, რომ არაარსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება საჭირო არ არის. ამასთან, თუ იგი გამჟღავნდა, ეს არ უნდა ფარავდეს არსებით ინფორმაციას სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ. ამ შესწორების მხარდასაჭერად, ფასს-ის პრაქტიკული დებულება 2, „არსებითობის განსჯის განხორციელება“ ასევე შეიცვალა, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო სახელმძღვანელო მითითებები, თუ როგორ უნდა გამოყენებულიყო არსებითობის კონცეფცია სააღრიცხვო პოლიტიკის გამჟღავნებისას. კომპანია ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ბასს 8-ში შესწორებები: სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და მოქმედებს წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ). ბასს 8-ის დამატებითმა შესწორებამ განმარტა, თუ როგორ უნდა განასხვაონ კომპანიებმა სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებისაგან. კომპანია ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

Covid-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობები – ფასს 16-ის შესწორებები (გამოცემულია 2021 წლის 31 მარტს და ძალაშია 2021 წლის 1 აპრილს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). 2020 წლის მაისში გამოიცა ფასს 16-ის შესწორებები, რომელიც მოიცავდა არასავალდებულო პრაქტიკულ მიზანშეწონილობებს მოიჯარეებისათვის, რათა შეეფასებინათ Covid-19-თან დაკავშირებული იჯარის დათმობები, რამაც გამოიწვია 2021 წლის 30 ივნისისთვის/ივნისამდე გადასახდელი საიჯარო გადახდების შემცირება, არის თუ არა იჯარის მოდიფიკაცია. 2021 წლის 31 მარტს გამოქვეყნებულმა შესწორებამ გაახანგრძლივა პრაქტიკული მიზანშეწონილობების ვადა 2021 წლის 30 ივნისიდან 2022 წლის 30 ივნისამდე. კომპანია ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

გადავადებული გადასახადი დაკავშირებული აქტივებსა და ვალდებულებებთან რომლებიც წარმოიქმნება ერთი ოპერაციისგან - ბასს 12-ის შესწორებები (გამოცემულია

2021 წლის 7 მაისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ბასს 12-ის შესწორებები განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა მოხდეს გადავადებული გადასახადის აღრიცხვა გარიგებებზე, როგორებიცაა იჯარები და ექსპლუატაციიდან ამოღების ვალდებულებები. განსაზღვრულ გარემოებებში, საწარმო თავისუფლდება გადავადებული გადასახადის აღიარებისგან, როდესაც ის პირველად აღიარებს აქტივებს ან ვალდებულებებს. უწინ, იყო გაურკვევლობა იმის თაობაზე, თავისუფლდებოდა თუ არა ისეთ გარიგებები, როგორებიცაა იჯარები და ექსპლუატაციიდან ამოღების ვალდებულებები - გარიგებები, რომელთათვისაც აღიარებულია როგორც აქტივი, ისე ვალდებულება. ცვლილებების თანახმად, გათავისუფლება არ ვრცელდება და სუბიექტები ვალდებულნი არიან აღიარონ გადავადებული გადასახადი ასეთ გარიგებებზე. ცვლილებების თანახმად, კომპანიები ვალდებულნი არიან აღიარონ გადავადებული გადასახადი გარიგებებზე, რომლებიც თავდაპირველი აღიარებისას წარმოშობენ დასაბეგრი და გამოსაქვითი დროებითი სხვაობების თანაბარ რაოდენობას. კომპანია ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ზემოთ სხვაგვარად თუ არ არის მითითებული, მოსალოდნელი არ არის, რომ ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მნიშვნელოვან გავლენას მოახდენენ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

	კონს. 31.12.2020 ლ	კონს. 31.12.2019 ლ
ფული სალაროში	1 244	4 327
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე	2 608 915	1 838 895
ჯამი	2 610 159	1 843 222

3.2. სავაჭრო მოთხოვნები:

	31.12.2020 ლ	31.12.2019 ლ
დებიტორული მოთხოვნა მომხმარებლებთან ხელშეკრულებებიდან	129 003	494 126
დებიტორული დავალიანების გაუფასურება	(36 905)	(72 933)
ჯამი	92 098	421 193

3.3. მარაგები:

	31.12.2020	31.12.2019
	ლ	ლ
ნედლეული	138 083	76 831
მზა პროდუქცია	220 250	242 967
სხვა მარაგები	3 196	3 532
ჯამი	361 529	323 330

3.4. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები:

	მიწა და შენობა- ნაგებობები (GEL)	ავტოსატრანსპორტო საშუალებები (GEL)	მანქანა- დანადგარები (GEL)	კომპიუტერული ტექნიკა და აღჭურვილობა (GEL)	ავეჯი და სხვა ინვენტარი (GEL)	სხვა (GEL)	არამატერიალური აქტივები (GEL)	სულ (GEL)
ისტორიული ღირებულება								
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის								
მდგომარეობით	4 799 030	1 284 112	642 556	114 515	857 710	66 243	31 964	7 796 131
დამატება	728 893	19 072	500 468	21 840	74 637	40 571	451	1 385 932
(შემცირება)	(4 793)	(80 992)	-	(5 658)	(3 962)	(120)	-	(95 524)
გადაფასება	-	-	-	-	-	-	-	-
სულ ისტორიული ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის								
მდგომარეობით	5 523 130	1 222 193	1 143 024	130 697	928 385	106 694	32 415	9 086 538
ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება								
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის								
მდგომარეობით	173 675	218 203	290 116	34 105	208 525	22 068	7 954	954 646
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	64 083	101 099	80 523	21 153	116 805	14 382	2 597	400 641
ჩამოწერა	-	(25 739)	-	(3 041)	(476)	(12)	-	(29 268)
სულ აკუმულირებული ცვეთა ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის								
მდგომარეობით	237 758	293 563	370 639	52 217	324 854	36 437	10 551	1 326 019
ნარჩენი ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის								
მდგომარეობით	5 285 372	928 630	772 385	78 481	603 531	70 257	21 864	7 760 520

	მიწა და შენობა- ნაგებობები (GEL)	ავტოსატრანსპორტო საშუალებები (GEL)	მანქანა- დანადგარები (GEL)	კომპიუტერული ტექნიკა და აღჭურვილობა (GEL)	ავიჯი და სხვა ინვენტარი (GEL)	სხვა (GEL)	არამატერიალური აქტივები (GEL)	სულ (GEL)
ისტორიული ღირებულება								
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის								
მდგომარეობით	4 468 993	795 836	496 769	57 590	637 284	18 115	15 508	6 490 095
დამატება	330 037	524 391	145 788	56 925	220 426	48 128	16 456	1 342 151
(შემცირება)	-	(36 114)	-	-	-	-	-	(36 114)
გადაფასება	-	-	-	-	-	-	-	-
სულ ისტორიული ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრის	4 799 030	1 284 112	642 556	114 515	857 710	66 243	31 964	7 796 131
ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება								
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის								
მდგომარეობით	162 038	171 058	230 205	17 156	95 100	12 934	3 956	692 445
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	11 637	69 440	59 911	16 949	113 426	9 134	3 998	284 496
ჩამოწერა	-	(22 295)	-	-	-	-	-	(22 295)
სულ აკუმულირებული ცვეთა ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრის	173 675	218 203	290 116	34 105	208 525	22 068	7 954	954 646
ნარჩენი ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრის	4 625 356	1 065 909	352 440	80 410	649 185	44 175	24 011	6 841 485

3.5. საინვესტიციო ქონება:

საინვესტიციო ქონება აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასსა და ნებისმიერ უშუალოდ მიკუთვნებად დანახარჯებს. საინვესტიციო ქონების აღიარება წყდება მისი გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივიდან. საინვესტიციო ქონების გაყიდვის შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალში.

	საინვესტიციო ქონება (GEL)
ისტორიული ღირებულება	
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2 882 107
დამატება (შემცირება)	(409 118)
გადაფასება	-
სულ ისტორიული ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2 472 989
ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება	
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	108 146
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	46 816
ჩამოწერა	(14 207)
სულ აკუმულირებული ცვეთა ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	140 755
ნარჩენი ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2 332 234

	საინვესტიციო ქონება (GEL)
ისტორიული ღირებულება	
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	5 684 450
დამატება (შემცირება)	7 657 (2 810 000)
გადაფასება	-
სულ ისტორიული ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2 882 107
ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება	
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	179 020
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი ჩამოწერა	67 804 (138 678)
სულ აკუმულირებული ცვეთა ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	108 146
ნარჩენი ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2 773 961

2017 წლის 01 იანვრის მდგომარეობით ჯგუფმა მოახდინა დამოუკიდებელი შემფასებლების მიერ საინვესტიციო ქონების შეფასება და გამოყენებული იქნა დასაშვები საწყისი ღირებულების მეთოდი. შეფასება ჩაატარა აკრედიტებულმა დამოუკიდებელმა შემფასებელმა, რომელსაც აქვს აღიარებული და შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია და ასევე აქვს გამოცდილება შესაფასებელი საინვესტიციო ქონების ანალოგიური ქონების შეფასებაში. გამოყენებულია შეფასების საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის მიერ რეკომენდებული შეფასების მოდელები, ფასს 13-ის პრინციპების შესაბამისად. საინვესტიციო ქონების შესაფასებლად გამოყენებულია გაყიდვების შედარების მეთოდი. ჯგუფმა შეფასებული რეალური ღირებულება გამოიყენა, როგორც დასაშვები საწყისი ღირებულება და დარჩა თვითღირებულების მოდელზე. ჯგუფი იყენებს შემცირებად ნაშთთა მეთოდს და შენობა-ნაგებობებისთვის გამოყენებული აქვს წლიური 2%.

შესადარისი გაყიდვების (შედარების) მეთოდი დაფუძნებულია შესადასებელი ობიექტის ანალოგიურ ობიექტთან შედარებაზე, რომლებზეც შესაძლებელია ინფორმაციის

მოპოვება ფასებთან და გარიგებებთან დაკავშირებით. ანუ, იგი დაფუძნებულია პრინციპზე, რომ ინვესტორი არ გადაიხდის ქონების შეძენაში იმაზე მეტს, რაც ღირს შესადარისი ელემენტების მიხედვით ანალოგიური ობიექტი.

უძრავი ქონების შეფასება შესადარისი გაყიდვების მეთოდით მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

- შესაფასებელი ობიექტის ანალოგიური ობიექტების გაყიდვებისა და შეთავაზებების მონაცემების შეგროვებასა და ანალიზს;

- შესაფასებელ ობიექტთან ანალოგიური ობიექტების შედარებას სხვადასხვა პარამეტრებით (ადგილმდებარეობა, ფიზიკური მახასიათებლები, გაყიდვების პირობები და სხვ.);

- ფასების კორექტირებას შესაფასებელ ობიექტთან თითოეული ანალოგიური ობიექტის განსხვავებების გათვალისწინებით;

- კორექტული ფასების ანალიზის საფუძველზე შესაფასებელი ობიექტის ღირებულების განსაზღვრას.

2020 წლების მდგომარეობით ჯგუფის საინვესტიციო ქონებები მდებარეობს ქ. თბილისში და ქ. ბათუმში. შემოსავლიანი აქტივები მოიცავს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, მათ შორის იმ მიწის ნაკვეთს, რომელიც საჭიროა იჯარის გენერირების მიზნით. თავისუფალი აქტივი მოიცავს იმ შენობა/ნაგებობებს და მიწის ნაკვეთებს, რომლებიც ანგარიშგების თარიღისთვის არ არის იჯარით გაცემული, არამედ არის ჯგუფის მფლობელობაში კაპიტალური ღირებულებების გაზრდის მიზნით, ან სამომავლოდ იჯარით გასაცემად.

3.6 ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში:

შპს „ვი თი ჯგუფის“ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ინვესტიცია შპს „ქართულ-ამერიკული სკოლა“-ში სამივე საბალანსო თარიღისთვის ნულის ტოლია, ხოლო შპს „ჯი სი ჯი“-ში ინვესტიცია განისაზღვრება შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი, 2020 წ.	31 დეკემბერი, 2019 წ.
	ლ	ლ
ინვესტიცია შპს „ჯისიჯი“-ში	2 082 189	1 697 719
ინვესტიცია შპს „ჯორჯიან ბლუბერი“-ში	67 903	-

	შპს „ჯორჯიან ბლუბერი“ 31 დეკემბერი, 2020 წ.	შპს „ჯისიჯი“ 31 დეკემბერი, 2020 წ.	31 დეკემბერი, 2019 წ.
<i>მოკლევადიანი აქტივები</i>			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	138 682	2 677 494	820 307
სხვა მოკლევადიანი აქტივები	42 125	1 433 061	2 289 552
გრძელვადიანი აქტივები	579 122	6 020 910	6 284 689
<i>მოკლევადიანი ვალდებულებები</i>			
მოკლევადიანი სესხები		835 184	635 935
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	13 503	1 982 496	1 127 184
<i>გრძელვადიანი ვალდებულებები</i>			
გრძელვადიანი სესხები	600 000	1 813 322	2 108 260

	შპს „ჯორჯიან ბლუბერი“ 10.07.2020- 31.12.2020	შპს „ჯისიჯი“ 2020 წელი	2019 წელი
ამონაგები	-	23 748 956	34 255 658
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები	493	498 272	465 368
საპროცენტო შემოსავალი	-	52 434	16 797
საპროცენტო ხარჯი	10 485	155 007	162 304
მოგების გადასახადის ხარჯი	-	346 500	392 322
წლის წმინდა მოგება	44 084	3 130 794	4 620 487
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-
წლის სრული შემოსავალი	44 084	3 130 794	4 620 487

3.7. აქტივის გამოყენების უფლება:

საიჯარო საქმიანობის ხასიათი

იჯარით აღებულია შენობა-ნაგებობა, რომელსაც ეკონომიკური საქმიანობისთვის იყენებს „ვი თი ჯგუფში“ შემავალი საწარმო - შპს „ბათუმის ქართულ-ამერიკული სკოლა“.

	შენობა-ნაგებობები
აქტივი	
აქტივების გამოყენების უფლება 31.12.2019	699 407
აქტივების გამოყენების უფლების მატება	-
აქტივების გამოყენების უფლების ცვეთის ხარჯი	(75 421)
სულ ხარჯები:	(75 421)
მათ შორის: ხარჯები აღიარებული მიმდინარე პერიოდის ხარჯად	(75 421)
აქტივების გამოყენების უფლების გასვლა (ხელშეკრულების მოდიფიკაციით)	(140 191)
აქტივების გამოყენების უფლება 31.12.2020	483 795
ვალდებულება	
საიჯარო ვალდებულებები 31.12.2019	1 008 404
საიჯარო ვალდებულების მატება	-
საიჯარო ვალდებულებებთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯი	95 184
საკურსო (შემოსავალი)/ხარჯი უცხოურ ვალუტაში აღრიცხული საიჯარო ვალდებულებიდან	146 435
სულ ხარჯები:	241 619
მათ შორის: ხარჯები აღიარებული მიმდინარე პერიოდის ხარჯად	241 619
საიჯარო ვალდებულების გასვლა (ხელშეკრულების მოდიფიკაციით)	(140 191)
საიჯარო ვალდებულების დაფარვა	(42 000)
საიჯარო ვალდებულების კაპიტალში შეტანა	(189 150)
საიჯარო ვალდებულებები 31.12.2019	878 682

საიჯარო ვალდებულებების დაფარვის ვადების ანალიზი

ვადადამდგარი	1 წლამდე	1-5 წლამდე	5-10 წლამდე
27 033	172 572	515 922	163 155

	შენიშვნა-ნაგებობები
აქტივი	
აქტივების გამოყენების უფლება 31.12.2018	-
აქტივების გამოყენების უფლების მატება	990 985
აქტივების გამოყენების უფლების ცვეთის ხარჯი	(112 187)
სულ ხარჯები:	(112 187)
მათ შორის: ხარჯები აღიარებული მიმდინარე პერიოდის ხარჯად	(112 187)
აქტივების გამოყენების უფლების გასვლა (ხელშეკრულების მოდიფიკაციით)	(179 391)
აქტივების გამოყენების უფლება 31.12.2019	699 407

ვალდებულება	
საიჯარო ვალდებულებები 31.12.2018	
საიჯარო ვალდებულების მატება	990 985
საიჯარო ვალდებულებებთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯი	123 159
საკურსო (შემოსავალი)/ხარჯი უცხოურ ვალუტაში აღრიცხული საიჯარო ვალდებულებიდან	73 651
სულ ხარჯები:	196 810
მათ შორის: ხარჯები აღიარებული მიმდინარე პერიოდის ხარჯად	196 810
საიჯარო ვალდებულების გასვლა (ხელშეკრულების მოდიფიკაციით)	(179 391)
საიჯარო ვალდებულებები 31.12.2019	1 008 404

საიჯარო ვალდებულებების დაფარვის ვადების ანალიზი

ვადადამდგარი	1 წლამდე	1-5 წლამდე	5-10 წლამდე
196 323	151 036	451 539	209 506

3.8. საფაქრო ვალდებულებები:

	31.12.2020	31.12.2019
	ლ	ლ
კრედიტორული დავალიანება	9 227	530 516
ჯამი	9 227	530 516

3.9. საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები:

	31.12.2020	31.12.2019
	ლ	ლ
საანგარიშო თარიღის შემდგომ ასახული გადასახადები	(115 455)	(91 834)
გადახდილი ავანსების გამო დასარიცხი დღგ-ის ვალდებულება	-	(12 203)
ერთიანი საგადასახადო ბარათი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	86 710	51 785
ჯამი	(28 745)	(52 252)

3.10. სესხები:

	31.12.2020	
მოკლევადიანი ძირი	გრძელვადიანი ძირი	პროცენტი
-	281 631	917
	31.12.2019	
მოკლევადიანი ძირი	გრძელვადიანი ძირი	პროცენტი
-	-	-

3.11. სხვა მიმდინარე ვალდებულებები:

	31.12.2020	31.12.2019
	ლ	ლ
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	124 882	5 626
მიღებული ავანსები	8 005	2 865
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	2 383	230 641
ჯამი	135 270	239 132

3.12. საწესდებო კაპიტალი:

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს „ვი თი ჯგუფის“ დამფუძნებლების მიერ ფულადი ფორმით შევსებული საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 2000 ლარს.

3.13. ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან:

	2020 ლ	2019 ლ
ამონაგები ბიტუმის ემულსიის რეალიზაციიდან	4 720 867	5 112 205
ამონაგები სატრანსპორტო მომსახურებიდან	720 340	1 252 196
ამონაგები საგანმანათლებლო მომსახურებიდან	1 474 107	1 773 734
ამონაგები საიჯარო მომსახურებიდან	155 636	266 497
დანარჩენი ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	1 048	-
სულ	7 071 997	8 404 632

ცხრილი გვიჩვენებს საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აღიარებულ ამონაგებს, რომელიც მოიცავს შესადარის პერიოდში აღიარებული სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებას.

	2020	2019
01 იანვარი	406 349	376 768
აღიარებული ამონაგები	(1 276 272)	(1 535 399)
მომხმარებლებისთვის დაბრუნებული ავანსი	(52 824)	(4 680)
მიღებული ავანსი გადასახადის ჩათვლით	1 223 990	1 569 660
31 დეკემბერი	301 243	406 349

3.14. მიწოდების ხარჯები:

	2020 ლ	2019 ლ
საქონლის ტრანსპორტირება და შენახვა	2 775	224 778
რეკლამა	1 987	34 474
სხვა	120 837	336 586
სულ	125 599	595 839

3.15. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები:

	2020 ლ	2019 ლ
თანამშრომელთა ანაზღაურება	716 715	1 779 254
საკანცელარიო	-	10 075
კომუნიკაცია	9 214	23 141
კომუნალური ხარჯები	3 511	87 385
საწვავი	3 899	-
იჯარის ხარჯი	11 118	
აქტივების გამოყენების უფლების ცვეთა	78 555	72 705
საკონსულტაციო ხარჯები	9 489	9 362
აუდიტის ხარჯები	18 800	24 576
საგადასახადო ხარჯები	13 712	14 950
საბანკო ხარჯები	54 651	6 466
დაზღვევის ხარჯები	14 217	30 937
მივლინების ხარჯები	12 578	33 777
წარმომადგენლობითი ხარჯები	-	-
ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციის ხარჯები	-	13 123
ცვეთის ხარჯები	4 803	-
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	96 611	48 079
სულ	1 047 874	2 153 833

3.16. ფინანსური ხარჯი:

	2020 ლ	2019 ლ
მიღებულ სესხებზე დარიცხული პროცენტი	10 423	356 959
საიჯარო ვალდებულებაზე დარიცხული პროცენტი	95 185	123 159
სულ	105 607	480 118

3.17. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი:

	2020 ლ	2019 ლ
მოგება ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	23 238	2 790
საშემოსავლო გადასახადის შეღავათი	95 358	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	55 436	27 496
სულ	174 032	30 285

3.18. სხვა არასაოპერაციო ხარჯი:

	2020 ლ	2019 ლ
ჯარიმები და საურავები	-	7 816
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	28 545	57 334
ტოპ მენეჯმენტის პრემია	169 642	-
დამფუძნებლებზე პრემიის სახით გაცემული თანხები	-	390 306
სულ	198 187	455 456

3.19. საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადების შეჯერება ვალდებულებების მოძრაობასთან

სასესხო და სხვა ფინანსური ვალდებულება	ვალდებულება 31.12.2019-მდე	გადახდა ფულადი სახსრებით	დადებით საკურსო სხვაობა	ვალდებულების აღება ფულადი სახსრების მიღებით	უარყოფითი საკურსო სხვაობა	ვალდებულება 31.12.2020-მდე
	GEL	GEL	GEL	GEL	GEL	GEL
სასესხო ვალდებულება	0	-	11 081	216 783	75 929	281 631
კაპიტალის ზრდა	-	56 021	-	56 021	-	-
გადახდილი დივიდენდები	-	389 474	-	389 474	-	-
სულ:	0	445 495	11 081	662 278	75 929	281 631

საპროცენტო ვალდებულება	ვალდებულება 31.12.2019-მდე	გადახდა	პროცენტის დარიცხვა	ვალდებულება 31.12.2020-მდე
	GEL	GEL	GEL	GEL
გადასახდელი პროცენტები	(0)	9 505	10 422	916
სულ:	(0)	9 505	10 422	916

სასესხო და სხვა ფინანსური ვალდებულება	ვალდებულება 31.12.2018-მდე	გადახდა ფულადი სახსრებით	დადებით საკურსო სხვაობა	ვალდებულების აღება ფულადი სახსრების მიღებით	უარყოფითი საკურსო სხვაობა	ვალდებულება 31.12.2019-მდე
	GEL	GEL	GEL	GEL	GEL	GEL
სასესხო ვალდებულება	3 664 771	4 960 705	595	1 295 574	955	0
კაპიტალის ზრდა	-	70 538	-	70 538	-	-
გადახდილი დივიდენდები	-	327 801	-	327 801	-	-
სულ:	3 664 771	5 359 044	595	1 693 914	955	0

საპროცენტო ვალდებულება	ვალდებულება 31.12.2018-მდე	გადახდა	პროცენტის დარიცხვა	ვალდებულება 31.12.2019-მდე
	GEL	GEL	GEL	GEL
გადასახდელი პროცენტები	16 336	443 995	427 659	(0)
სულ:	16 336	443 995	427 659	(0)

3.20. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესადარისი ინფორმაციის ცვლილებები

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გასწორდა წინა პერიოდის შეცდომები და გაკეთდა რეკლასიფიკაციები. აღნიშნული აისახა ფინანსური ანგარიშგების შესადარისი ინფორმაციის შესაბამისი მუხლების შესწორებით. შემდეგი ცხრილი აჯამებს აღნიშნული ცვლილების გავლენას შესაბამის მუხლებზე:

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

1 ლარის სიზუსტით	შეცდომების გასწორებით და რეკლასიფიკაციით გამოწვეული ცვლილებების გავლენა		
	წარდგენილი	კორექტირება	გადასინჯული
2019 წელი			
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2 241 817	(87 984)	2 153 833
საგადასახადო ხარჯები	102 934	(87 984)	14 950
რეალიზებული საქონლის და მომსახურების თვითღირებულება	4 244 375	87 984	4 332 359

3.21. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება

რეალური ღირებულების წინასწარი გაანგარიშება მიზნად ისახავს სავარაუდო ფასის მიახლოებით განსაზღვრას, რომელიც მიღებული იქნება აქტივის გასაყიდად ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადაცემისთვის თანმიმდევრული ტრანზაქციის გზით ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების დღეს. ამასთან, გაურკვევლობის გათვალისწინებით და სუბიექტური განსჯის მეშვეობით, რეალური ღირებულება არ უნდა იქნეს ინტერპრეტირებული, როგორც რეალიზებადი აქტივების დაუყოვნებელი ნასყიდობის გზით ან ვალდებულებათა გადაცემის მეშვეობით.

ჯგუფმა განსაზღვრა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულებები შეფასებითი ტექნიკის გამოყენებით. შეფასებითი ტექნიკის მიზანია რეალური ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს ფასს, რომელიც უნდა იქნეს მიღებული აქტივის გასაყიდად ან გადახდილი ვალდებულების გადაცემისთვის თანმიმდევრული ტრანზაქციის ფარგლებში ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების დღეს.

ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება მიახლოებით მათი საბალანსო ღირებულების ტოლია.

3.22. რისკების მართვა

მმართველობითი სისტემა

ჯგუფის რისკისა და ფინანსური მართვის სისტემის მთავარი მიზანია დაცვა ისეთი მოვლენებისგან, რომლებიც აბრკოლებს ჯგუფის მიზნების მიღწევას და შესაძლებლობების გამოყენებას. ჯგუფი აანალიზებს რისკების ეფექტიანი მართვის სისტემის უდიდეს მნიშვნელობას. დანერგილია პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს ჯგუფის რისკზე ორიენტირებულობას, რისკის მართვას, კონტროლსა და საქმიანობის სტანდარტებს.

ჯგუფი დგას შემდეგი რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი;
- საბაზრო რისკი.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა იწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს. ჯგუფი მართავს საკრედიტო რისკის დონეს, რომელზეც იგი პასუხისმგებელია საკრედიტო რისკის საერთო პოლიტიკით, რომელშიც შეფასებული და განსაზღვრულია, რა წარმოადგენს ჯგუფისთვის საკრედიტო რისკს, რისკის ლიმიტი თითოეული კონტრაგენტის, გეოგრაფიული მდებარეობისა და საქმიანობის სფეროსთვის, გაქვითვის უფლება, როდესაც კონტრაგენტები ერთდროულად მოვალეები არიან და კრედიტორებიც.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ ჯგუფს შეეძლება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა, მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ჯგუფის ფუნქციონირებაზე. ლიკვიდურობის რისკის წინდახედული მექანიზმი გულისხმობს საკმარისი თანხისა და საკრედიტო რესურსების ქონას, რათა დაკმაყოფილებულ იქნას ბაზრის მოთხოვნები.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით.

საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას ჯგუფის მიერ პროცენტიანი, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევეს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი).

საპროცენტო რისკი

საპროცენტო რისკი არის რისკი (ცვალებადი ღირებულებით), რომელსაც ატარებს პროცენტიანი აქტივი, როგორიცაა სესხი, მცოცავი საპროცენტო განაკვეთის არსებობის გამო. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიქმნება, როდესაც მოცემული ვადიანობის ფაქტობრივი ან მოსალოდნელი აქტივები მეტია ან ნაკლებია იმავე ვადიანობის ფაქტობრივ ან მოსალოდნელ ვალდებულებებზე.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი გავლენას ახდენს ჯგუფის ფინანსური რისკების განსაზღვრაზე. ჯგუფი ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

მგრძნობელობის ანალიზი

ლარის შესაძლო გამყარება/შესუსტება, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოქმედი ევროს და აშშ დოლარის სავალუტო კურსებთან მიმართებაში, გავლენას მოახდენს უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებაზე და კაპიტალზე და მოგება/ზარალზე გადასახადების შემდეგ ქვემოთ მოცემული თანხების ოდენობით. სავალუტო დინამიკა პირდაპირ გავლენას არ მოახდენს სხვა მთლიან შემოსავალსა თუ კაპიტალზე.

ანალიზის თანახმად ივარაუდება, რომ ყველა სხვა ცვლადები, განსაკუთრებით საპროცენტო განაკვეთები, რჩება უცვლელი და არ ითვალისწინებს პროგნოზული გაყიდვების და შესყიდვების ზემოქმედებას.

31 დეკემბერი, 2020 წ.

	EURO	USD	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1 856	1 638 300	1 640 156
აქტივები სულ:	1 856	1 638 300	1 640 156
გრძელვადიანი სესხები	282 548	-	282 548
ვალდებულებები სულ:	282 548	-	282 548
ნეტო შედეგი	(280 691)	1 638 300	1 357 609
Euro (10% ცვლილება)	(28 069)		
USD (10% ცვლილება)	163 830		

31 დეკემბერი, 2019 წ.

	EURO	USD	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	5 021	20 362	25 383
სავაჭრო მოთხოვნები	1 772	-	1 772
აქტივები სულ:	6 793	20 362	27 155
სავაჭრო ვალდებულებები	160 652	-	160 652
ვალდებულებები სულ:	160 652	-	160 652
ნეტო შედეგი	(153 859)	20 362	(133 497)
Euro (10% ცვლილება)	(15 386)		
USD (10% ცვლილება)	2 036		

3.23.გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

განხორციელებული ტრანზაქციები დირექტორთან და პარტნიორთან

1 ლარის სიზუსტით

	ტრანზაქციის ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდი	დაუფარავი ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდი	ტრანზაქციის ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდი	დაუფარავი ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდი
დებიტორული დავალიანება	-	5 840	-	3 700
ვალდებულებები დაქირავებული პირების მიმართ	-	14 287	-	343
გაცემული დივიდენდი	389 474	-	314 135	-
ხელფასის ხარჯები (ადმინისტრაციული)	227 142	-	209 304	-
მივლინების ხარჯები	120	-	8 760	-
პრემია	169 643	-	390 306	-
საქონლისა და მომსახურების მიყიდვა	2 771	-	9 517	-
ძირითადი საშუალებების მიყიდვა	508	-	-	-

ტრანზაქციები სხვა დაკავშირებულ მხარეებთან

	ტრანზაქციის ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდი	დაუფარავი ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდი	ტრანზაქციის ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდი	დაუფარავი ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდი
კრედიტორული დავალიანება	-	-	-	368 619
დებიტორული დავალიანება	-	6 700	-	267 793
ვალდებულებები დაქირავებული კაპიტალში ცვლილება	-	5 880	-	346
გაცემული დივიდენდი	350 000	-	105 560	-
ხელფასის ხარჯები (ადმინისტრაციული)	-	-	56 965	-
მივლინების ხარჯები	111 606	-	97 919	-
საქონლისა და მომსახურების შესყიდვები	120	-	75	-
საქონლისა და მომსახურების მიყიდვა	42 110	-	183 148	-
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	1 610 649	-	2 305 834	-
ძირითადი საშუალებების მიყიდვა	19 000	-	-	-
ძირითადი საშუალებების მიყიდვა	471	-	-	-

ბასს 24-ის („დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“) მიხედვით, მხარეები ითვლებიან დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. შესაძლო დაკავშირებული მხარეების თითოეული შემთხვევის განხილვისას ყურადღება უნდა მიექცეს არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას, არამედ იმასაც, თუ როგორია მათ შორის ურთიერთობა. დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ განხორციელდეს იმავე პირობებზე და თანხებზე, როგორზეც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

3.24. გაუთვალისწინებელი გარემოებები

კანონმდებლობა

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ამოქმედდა მოგების გადასახადის დაბეგვრის ახალი რეჟიმი - ე.წ. „ესტონური მოდელი“, რომელიც თვისებრივად განსხვავდება მანამდე მოქმედი მოგების გადასახადით დაბეგვრის რეჟიმისაგან. ამასთან, დაბეგვრის ეს რეჟიმი არის იშვიათი, კერძოდ, საქართველო არის მეორე ქვეყანა ევროპაში (ესტონეთის შემდეგ), რომელმაც მოგების გადასახადით დაბეგვრის ეს მოდელი აირჩია. მოდელის თავისებურების მიუხედავად, მენეჯმენტი იმედოვნებს, რომ მის მიერ განხორციელებული მიდგომა საგადასახადო საკითხების მიმართ ადეკვატურია ამ მომენტში საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო ინტერპრეტაციების მიმართ.

სასამართლო დავები

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის წინააღმდეგ არ მიმდინარეობდა სასამართლო დავები. ამავე დროს ჯგუფი ამ პერიოდისათვის არ აწარმოებდა სასამართლო დავებს მეორე მხრის წინააღმდეგ.

ახალი კორონავირუსის Covid-19-ის გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე

2020 წლის დასაწყისში გავრცელებულმა კორონავირუსმა სწრაფად მოიცვა მთელი მსოფლიო, საქართველოს ჩათვლით და უდიდესი სოციალური თუ ეკონომიკური ზიანი მიაყენა ქვეყნებს. 2020 წლის 11 მარტს, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ (WHO) COVID-19 კორონავირუსის პანდემია გამოაცხადა. პირველი შემთხვევა საქართველოში, ოფიციალურად, 2020 წლის 26 თებერვალს დაფიქსირდა. ვირუსის გავრცელების საწინააღმდეგო ზომების ნაწილის სახით, საქართველოს მთავრობამ სხვადასხვა დროს

დააწესა სხვადასხვა სახის შეზღუდვები. ჯგუფის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ახალი კორონავირუსის გავრცელების შესაძლო შედეგები კომპანიისთვის არ იქნება მნიშვნელოვანი ხასიათის.

შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, ჯგუფს შეექმნა უმნიშვნელო ფინანსური სირთულეები, მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მის ძირითად მომხმარებლებზე არ იმოქმედებს არსებული გარემოება და ჯგუფი უწყვეტ რეჟიმში შეძლებს ფუნქციონირებას.

უნდა აღინიშნოს, რომ ყოველივე ზემოთქმული დამოკიდებულია საქართველოში და მსოფლიოში კორონავირუსის გავრცელების მასშტაბებზე და ხანგრძლივობაზე, ასევე იმის მიხედვით, თუ რამდენ ხანს გაგრძელდება მოცემული მდგომარეობა, პროგნოზი შეიძლება შეიცვალოს.

3.25. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2021 წლი 15 თებერვალს შპს „ვითი ჯგუფსა“ და „დემირელის სახელობის კერძო კოლეჯს“ შორის გაფორმდა 4 600 000 (ოთხიმილიონ ექვსასიათასი) ლარის ღირებულების უძრავი ქონების ნასყიდობის წინარე ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს უძრავი ქონების შესყიდვას ქ. თბილისში, შუამთის ქ. #21-ში. უძრავი ქონების საკადასტრო კოდებია: 01.19.20.027.018 და 01.19.20.027.017.

გარდა ზემოთაღნიშნულისა, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, 2021 წლის 05 აგვისტომდე, არ მომხდარა რაიმე სახის მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც გამოიწვევდა ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

3.26. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებული და გამოსაცემად ნებადართულია 2021 წლის 05 აგვისტოს ჯგუფის მენეჯმენტის მიერ. ჯგუფის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

შპს „ვი თი ჯგუფი“

კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

შინაარსი

კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება

1. საქმიანობის მიმოხილვა1

საქმიანობის მიმოხილვა

1. საქმიანობის განვითარება, შედეგები და მდგომარეობა

შესავალი

„ვი თი ჯგუფი“ წარმოადგენს ჰოლდინგს (შემდგომში - **ჯგუფი**). ჰოლდინგის სათავე კომპანიაა შპს „ვი თი ჯგუფი“ (ს/კოდი 205143824), რომელიც თავის შვილობილ კომპანიებთან ერთად წარმატებულად მოღვაწეობს ეკონომიკის სხვადასხვა სფეროებში, კერძოდ ბიტუმის წარმოება და რეალიზაცია, სატრანსპორტო მომსახურება, უძრავი ქონების მართვა, ასევე კომპანიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს ზოგადსაგანმანათლებლო სფერო.

შპს „ვი თი ჯგუფი“-ს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სატრანსპორტო მომსახურების მიწოდება და ბიტუმის ემულსიის წარმოება-გაყიდვა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ კომპანიას ამ სფეროებში საქართველოს ბაზარზე მნიშვნელოვანი წილი უკავია.

შპს „ვი თი ჯგუფი“-ს შვილობილი კომპანია შპს „ქემიქალსი“ (ს/კოდი 405039426) წარმოადგენს მსოფლიოში უმსხვილესი კომპანიის „Nouryon“ ოფიციალურ დისტრიბუტორს საქართველოში. შპს „ქემიქალსი“ ახორციელებს სპეციფიკური ქიმიური საშუალებების, კერძოდ, ემულგატორებისა და ადგეზიური დანამატების იმპორტსა და რეალიზაციას საქართველოში, რაც ეხმარება მწარმოებლებს აწარმოონ ხარისხიანი პროდუქცია.

შპს „ვი თი ჯგუფი“-ს შვილობილი კომპანია შპს „ბათუმის ქართულ-ამერიკული სკოლა“ (ს/კოდი 445519537) დაარსდა 2017 წელს. სკოლის სასწავლო პროგრამების უმთავრესი მიზანია აღსაზრდელები განვითარების კვალდაკვალ მიყვანენ თანამედროვე მსოფლიოს, მიეცეს მათ ნიჭსა და შესაძლებლობებს განვითარებისა და სიახლეების ათვისების საშუალება.

შპს „ვი თი ჯგუფი“-ს შვილობილი კომპანია შპს „ქართულ-ამერიკული საგანმანათლებლო საზოგადოება“ (GAEC) დაარსდა 2019 წელს. GAEC-ის მიზანია ქართულ საგანმანათლებლო ბაზარზე ხარისხიანი და საჭიროებებზე ორიენტირებული სასწავლო პროგრამებით დაიმკვიდროს ადგილი. ამ მიზნით საზოგადოება:

- საკონსულტაციო და სერვის მომსახურებას უწევს როგორც კერძო, ასევე საჯარო პროფილის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს/სკოლებს (ძირითადად, უცხო ენების კათედრის განვითარებისა და უცხო ენების სწავლების მიმართულებით);
- საკუთარი სასწავლო ცენტრის ბაზაზე მომხმარებლებს სთავაზობს სხვადასხვა პროფილისა და მიმართულების მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო კურსებს და მომხმარებლის საჭიროებებზე ორიენტირებულ სასწავლო პროგრამებს;
- ორგანიზებას უწევს სეზონურ გასვლით ბანაკებსა და სკოლებს.

დაფუძნებიდან მის სახელს არაერთი წარმატებული პროექტი უკავშირდება, მათ შორის, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი სასწავლო ცენტრის გახსნა.

შპს „ვი თი ჯგუფი“-ს ეკუთვნის 34% შპს „ჯი სი ჯი“-ში (ს/კოდი 405039015), რომელიც დაარსდა 2014 წელს. მისი ძირითადი საქმიანობაა ასფალტის წარმოება და რეალიზაცია, საგზაო სამუშაოები.

შპს „ვი თი ჯგუფი“ 2020 წელს ასევე დააფუძნა შპს „ჯორჯიან ბლუბერი“ (ს/კოდი 405402602), რომელშიც ჯგუფი 27% წილს ფლობს. ამ საწარმოს საქმიანობის სფერო არის ლურჯი მოცვის მოყვანა და რეალიზაცია.

სუბიექტის განვითარების გეგმები

შპს „ვი თი ჯგუფი“-ს მიზანია განახორციელოს ინვესტიციები საგანმანათლებლო, საგზაო-სამშენებლო და სატრანსპორტო მიმართულებით.

მიმდინარე წელს შპს „ქემიქალსმა“ დამატებითი ინვესტირება განახორციელა და სამშენებლო მასალების საგამოცდო ლაბორატორიისთვის შეიძინა სხვადასხვა სახის თანამედროვე ხელსაწყო-მოწყობილობები და მოახდინა მათი ინსტალაცია და დაკალიბრება. ასევე 2021 წლის 22 ივლისს სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი“-ის მიერ საგამოცდო ლაბორატორია დადებითად შეფასდა და მიენიჭა აკრედიტაცია სსტ ისო/იეკ17025-2017/2018-ის სტანდარტის შესაბამისობაზე.

შპს „ბათუმის ქართულ-ამერიკული სკოლის“ სამომავლო გეგმები უკავშირდება ინტერნაციონალიზაციის პროცესს - საერთაშორისო ავტორიზაციის მოპოვებით. სკოლა:

- (ა) კიდევ უფრო მეტად აამაღლებს სწავლების სტანდარტს;
- (ბ) ექნება შესაძლებლობა საგანმანათლებლო პროგრამები შესთავაზოს უცხოელებს;
- (გ) ექნება გაწეული სერვისების ფასების დივერსიფიცირების მეტი მოქნილობა.

გარდა ინტერნაციონალიზაციის პროცესისა, სკოლა პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად განახორციელებს სეზონურ სკოლებსა და ბანაკებს სასკოლო არდადეგების პერიოდში და ასევე, სკოლის მოსწავლეებს შესთავაზებს საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობას.

2020 წლის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ჯგუფი 2018 წლიდან წარმოადგენს მე-2 ზომითი კატეგორიის ჯგუფს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, მისთვის, როგორც მე-2 ზომითი კატეგორიის ჯგუფისთვის, წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი სავალდებულოა.

ამონაგები კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან - **7 072 ათასი ლარი.**

მოგება ძირითადი საქმიანობებიდან - **1 956 ათასი ლარი.**

მოგება პროცენტის, მოგების გადასახადის, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე (ე.წ. EBITDA) - **1 525 ათასი ლარი.**

მოგება დაბეგვრამდე - **899 ათასი ლარი.**

აქტივების ჯამი 31.12.2020 წ. მდგომარეობით - **16 117 ათასი ლარი.**

არაფინანსური საკითხები

სოციალური და დასაქმების საკითხები

ჯგუფის თითოეულ თანამშრომელს საკუთარი წვლილი შეაქვს ჯგუფის წარმატებასა და მომხმარებლისთვის ხარისხიანი მომსახურების მიწოდებაში. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის მიერ დასაქმებულია ჯამში 150-ზე მეტი ადამიანი.

ჯგუფი ჩვეულებრივ რეჟიმში განიხილავს ყველა დასაქმების აპლიკაციას, რომელიც შშმ პირების მიერ არის გამოგზავნილი და უზრუნველყოფს რომ მათ ჰქონდეთ კარიერული განვითარების საჭირო ყველა ბერკეტი და თანასწორ, სამართლიან გარემოში უწყვედით მუშაობა.

შრომის უსაფრთხოება და ჯანმრთელობის დაცვა

ჩვენ ვაცნობიერებთ ადამიანის უფლებათა ფუნდამენტურ მნიშვნელობას, რისთვისაც ჯგუფი ახორციელებს რიგ ღონისძიებებს და რაც უზრუნველყოფს დასაქმებულთათვის უსაფრთხო-კომფორტული გარემოს შექმნას. დღეისათვის ჯგუფს ჰყავს „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული შესაბამისად სერტიფიცირებული შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მენეჯერი.

ჯგუფი ზრუნავს, რომ დანერგოს და განავითაროს შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის თანამედროვე სტანდარტები, რითაც უზრუნველყოფს ჯგუფში დასაქმებული პერსონალის ჯანმრთელობის დაცვას უსაფრთხო სამუშაო გარემოს და ამით სამუშაოს შესრულების ხარისხის გაუმჯობესებას.

ჯგუფი ზრუნავს არა მხოლოდ საწარმოში დასაქმებული პერსონალის, არამედ კონტრაქტორი, ქვეკონტრაქტორი და საწარმოში ვიზიტორთა უსაფრთხოებაზე.

ჯგუფი წარმატებით იყენებს და ნერგავს საქართველოს მოქმედ და საერთაშორისო სტანდარტებს და ზრუნავს გათვალისწინებული მოთხოვნების გაუმჯობესებაზე. ჩვენი შრომის უსაფრთხოებისა და პერსონალური ჯანდაცვის სისტემა წარმოადგენს ჯგუფის მიერ მიღწეული შედეგების მდგრადობის გარანტს.

ჯგუფი ახორციელებს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობისა და სტანდარტების მიხედვით საფრთხეების იდენტიფიცირებას და რისკების შეფასებას, სისტემის გაუმჯობესების მიზნით სახავს მიზნებს და ადგენს პროგრამებს, საზღვრავს პერსონალის როლს, პასუხისმგებლობებს და უფლებამოსილებებს, ქმნის პერსონალის სწავლების ბაზას და ატარებს სწავლებებს, პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით. ქმნის სამუშაოს შესრულების მეთოდოლოგიებს და პროცედურებს თანამედროვე ფორმატის მიხედვით, ქმნის ინციდენტების მოკვლევის და მოხსენების, ასევე მაკორექტირებელი და პრევენციული ღონისძიებების მყარ ბაზას, ქმნის და აწვითარებს საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმას თანამედროვე ფორმატში და ნერგავს ინციდენტების მართვის ცენტრალიზებულ სისტემას, ახორციელებს დაკვირვებებს მიმდინარე საოპერაციო პროცესებზე და ზრუნავს შეუსაბამოების აღმოფხვრაზე. კომპანიის მიზანია, შექმნას მყარი ბაზა პირველი, მეორე და მესამე მხარის აუდიტების ჩასატარებლად და დააკმაყოფილოს საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნები.

გარემოს დაცვა

ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ *ჯგუფის* საქმიანობას ზეგავლენა აქვს გარემოზე და ამ საკითხს ძალიან ყურადღებით ვეკიდებით. ზუსტად ამ მიზნით *ჯგუფში* არის შექმნილი გარემოს დაცვის მიმართულება, რომელიც კონკრეტულად გარემოს დაცვის საკითხებზე არის ორიენტირებული. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ამ მიმართულებით საწარმოო ნარჩენებია, რომელიც ყველაზე მსხვილი ნარჩენი პროდუქტია ჩვენს საქმიანობაში.

საწარმოო ნარჩენების უტილიზაცია ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია. ნარჩენების გარემოზე მავნე ზემოქმედების რისკის მნიშვნელოვნად შემცირება შესაძლებელია შესაბამისი პროცესების სწორად და ეფექტიანად მართვის შემთხვევაში. *ჯგუფი* ეფექტიანად მართავს შესაბამისი ნებართვის მქონე კონტრაქტორი და ქვეკონტრაქტორი ორგანიზაციების დახმარებით საწარმოში წარმოქმნილ, როგორც არასახიფათო, ისე სახიფათო ნარჩენებს, ახორციელებს საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსით“ გათვალისწინებული ღონისძიებების გატარებას, როგორცაა ნარჩენების შემცირება, ხელმეორედ გამოყენება, განთავსება/უტილიზაცია და სხვა. საწარმოო მარაგების მართვის პროცედურები, რომელიც *ჯგუფშია* დანერგილი, აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს, რომელიც განსაზღვრავს რისკის კატეგორიებს და ადგენს შესაბამის პროცედურებს ამ რისკებთან გასამკლავებლად.

ჩვენ დავნერგეთ საწარმოო ნარჩენების მართვის ეფექტიანი სისტემა, რაც გულისხმობს კონკრეტული გეგმის არსებობას და მის ზედმიწევნით შესრულებას (ნარჩენების მართვის გეგმა) და საბოლოოდ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ანგარიშის წარდგენას. პერსონალი ყოველდღიურად და ყოველკვირეულად ავსებს სპეციალიზებულ ფორმებს, სადაც კონკრეტულად არის მითითებული ნარჩენის სახეობა, მდგომარეობა, სახიფათოობა, წონა. საწარმოს პერსონალს გავლილი აქვს სწავლებები გარემოს დაცვის სფეროში.

საწარმოს ტერიტორიაზე შექმნილია სპეციალური ადგილები (ნარჩენების დროებითი დასაწყობების ტერიტორია), სადაც ხდება ნარჩენების შესაბამისი დასაწყობება და შენახვა (არაუმეტეს 1 თვისა), სანამ მათი ტერიტორიიდან გატანა მოხდება.

საწარმოს სპეციფიკიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია ატმოსფერული ჰაერის დაცვა, რისთვისაც *ჯგუფს* მომზადებული აქვს „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულდა დასაშვები გაფრქვევის პროექტი“ და რის მიხედვითაც ახორციელებს სამუშაო პროცესებს, ხოლო ყოველწლიურად გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარადგენს შესაბამის ანგარიშგებას.

ჩვენ მუდმივად ვცდილობთ მინიმუმამდე შევამციროთ გარემოზე მავნე ზემოქმედება, რომელიც ჩვენი საქმიანობის შედეგად შესაძლოა გამოვლინდეს.

2. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები, რომლებიც გამოვლენილია პარტნიორების მიერ, გამოიყურება შემდეგნაირად:

- *ჯგუფი* ოპერირებს ბიზნეს-გარემოში, რომელიც საკმაოდ მკაცრად რეგულირდება სხვადასხვა სახის რეგულაციებითა და კანონებით. ამ რეგულაციების დარღვევა ან კანონებთან შეუსაბამობაში ყოფნა გამოიწვევს მნიშვნელოვან ფინანსურ ზარალს ჯარიმების სახით და უარყოფითი ეფექტი ექნება *ჯგუფის* რეპუტაციაზე. ამ რისკის

შემცირების მიზნით ჩვენ ვცდილობთ კონსტრუქციულ დიალოგში შევიდეთ სახელმწიფო ორგანოებთან და სადაც შესაძლებელია ვცდილობთ გარე რჩევებისა და რეკომენდაციების მიღებას მოსალოდნელ ცვლილებაზე საკანონმდებლო სისტემაში. *ჯგუფში* გაწერილია სხვადასხვა პროცედურები და კონტროლის მექანიზმები, რათა *ჯგუფმა* კეთილსინდისიერად შეასრულოს დაკისრებული მოვალეობები და რეგულაციებთან შესაბამისობაში იყოს. *ჯგუფის* იურიდიული დეპარტამენტი მონაწილეობს ყველა არსებითი ხელშეკრულებისა თუ კონტრაქტის გაფორმების პროცესში, ფინანსურ დეპარტამენტთან არსებული საგადასახადო აღრიცხვის განყოფილება კი მუდმივად თვალს ადევნებს ცვლილებებს საგადასახადო კანონმდებლობაში. *ჯგუფში* რეგულარულად გამოცდილი და პროფესიონალებით დაკომპლექტებული გუნდის მიერ ტარდება შიდა აუდიტი. შედეგები განიხილება შესაბამისი მიმართულების მიერ ყოველკვარტალურად.

- *ჯგუფის* წარმატება დამოკიდებულია მის უნარზე მიიზიდოს და შეინარჩუნოს პროფესიონალი კადრები. თუ ჩვენ ვერ შევძლებთ წარმატებით შევასრულოთ ეს ფუნქცია, *ჯგუფის* განვითარება, შეთავაზებული საქონლისა და სერვისების ხარისხი და რეპუტაცია საფრთხის წინაშე იქნება. რისკს ზრდის ისიც, რომ ქვეყანაში მაღალკვალიფიციური პროფესიონალების ნაკლებობაა. სწორედ ამიტომ, ჩვენთვის პრიორიტეტულია ეს საკითხი და *ჯგუფი* ბევრ რესურსსა და ენერგიას ხარჯავს ამ მიმართულებით, რაც გამოიხატება კონკურენტულ ანაზღაურებასა და სხვა სარგებელში, რომელსაც ჩვენს თანამშრომლებს ვთავაზობთ.
- *ჯგუფის* შემოსავლებზე არსებითი ზეგავლენა შეიძლება მოახდინოს ასევე საბაზრო რისკებმა, კერძოდ ქვეყანაში არსებული არასაკმარისი რეგულაციებისა და კონტროლის არსებობის გამო, *ჯგუფი* შეიძლება აღმოჩნდეს არახელსაყრელ და არაკონკურენტულ გარემოში სხვა მწარმოებლებთან და მიმწოდებლებთან მიმართებაში, რამაც შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს *ჯგუფს*. აღნიშნული რისკის შესამცირებლად ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება დამოუკიდებელი, ობიექტური და სერტიფიცირებული საწარმოო ლაბორატორიის აშენების შესახებ, რომელიც უზრუნველყოფს ჩვენ მიერ წარმოებული საქონლის მაღალ ხარისხს.
- *ჯგუფს* აქვს ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და საოპერაციო რისკი. კიბერ-თავდასხმებმა და თავდაცვის სისტემების დარღვევამ შესაძლოა მნიშვნელოვანი და კონფიდენციალური მონაცემების დაკარგვა გამოიწვიოს. აღნიშნული რისკების შესამცირებლად *ჯგუფს* დანერგილი აქვს სხვადასხვა თანამედროვე პროგრამული უზრუნველყოფა და მომავალშიც გააგრძელებს ახალი პროგრამების დანერგვას.
- 2020 წელს, მსოფლიო მასშტაბით, გავრცელდა ახალი კორონავირუსი COVID-19, რაც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ 2020 წლის 11 მარტს, გამოცხადებულ იქნა პანდემიად. შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, კომპანიას შეექმნა უმნიშვნელო ფინანსური სირთულეები, მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მის ძირითად მომხმარებლებზე არ იმოქმედებს არსებული გარემოება და კომპანია უწყვეტ რეჟიმში შეძლებს ფუნქციონირებას.

საქმიანობის მიმოხილვა მომზადებულია შპს „ვი თი ჯგუფის“ დირექტორის ლევან გოგიას მიერ 2021 წლის 05 აგვისტოს:

----- ლევან გოგია

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ განხორციელებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და საკუთარი კაპიტალის ცვლილებას 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის, ასევე სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვასა და განმარტებით შენიშვნებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:


- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებული მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც გარემოებები ამას შეუძლებელს ხდის.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ეფექტიანი და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი საბუღალტრო ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ასევე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების მოთხოვნებთან შესაბამისობას;
- საგაღდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- ჯგუფის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშო პერიოდისთვის დადასტურებულია ხელმძღვანელობის მიერ და ხელმოწერილია 2021 წლის 05 აგვისტოს:

დირექტორი



ლევან გოგია

ფინ. დირექტორი

ემზარ ოთხოზორია

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით განსაზღვრული ნაწილის (საქმიანობის მიმოხილვის) ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილი - საქმიანობის მიმოხილვა შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით. ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

გარიგების პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგად გაიცა აღნიშნული დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა:

გიორგი ცერცვაძე



შპს აუდიტური კონცერნი „ცოდნისა“

საქართველო, თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი 41.

05 აგვისტო, 2021 წელი


კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

		31.12.2020 ლ	31.12.2019 ლ
	შენ.		
მოკლევადიანი აქტივები:			
ფული და ფულის ეკვივალენტები	3.1	2 610 159	1 843 223
სავაჭრო მოთხოვნები	3.2	92 098	421 193
მარაგები	3.3	361 529	323 330
გადახდილი ავანსები და წინასწარ ანაზღაურებული ხარჯები		71 723	124 825
მოთხოვნები საწესდებო კაპიტალის შევსებაზე		-	56 021
საგადასახადო აქტივები	3.9	16 417	-
სხვა მიმდინარე აქტივები		238 079	7
მოკლევადიანი აქტივები სულ:		3 390 005	2 768 599
გრძელვადიანი აქტივები:			
ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	3.4	7 760 520	6 841 484
საინვესტიციო ქონება	3.5	2 332 234	2 773 961
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	3.6	2 150 092	1 697 719
აქტივის გამოყენების უფლება	3.7	483 795	699 407
გრძელვადიანი აქტივები სულ:		12 726 641	12 012 571
აქტივები სულ:		16 116 646	14 781 170
მოკლევადიანი ვალდებულებები:			
სავაჭრო ვალდებულებები	3.8	9 227	530 516
საგადასახადო ვალდებულებები	3.9	45 162	52 252
სახელმეკრულებო ვალდებულებები		301 243	406 349
მოკლევადიანი სესხები	3.10	917	-
საიჯარო ვალდებულების მიმდინარე ნაწილი		199 605	380 079
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	3.11	135 270	239 132
მოკლევადიანი ვალდებულებები სულ:		691 424	1 608 328
გრძელვადიანი ვალდებულებები:			
გრძელვადიანი სესხები	3.10	281 631	-
საიჯარო ვალდებულების გრძელვადიანი ნაწილი		679 077	628 325
გრძელვადიანი ვალდებულებები სულ:		960 708	628 325
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	3.12	2 000	2 000
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)		13 915 507	12 513 721
მესაკუთრეთა კაპიტალი		13 917 507	12 515 721
არამაკონტროლებელი წილი		547 007	28 796
კაპიტალი სულ:		14 464 514	12 544 517
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:		16 116 646	14 781 170


კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2021 წლის 05 აგვისტოს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი



ლევან გოგია

ფინ. დირექტორი



ემზარ ოთხოზორია

თანდართული შენიშვნები მე-13-დან 51-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

		კონს. 2020 ლ	კონს. 2019 ლ
ამონაგები	შენ.		
რეალიზებული საქონლის და მომსახურების თვითღირებულება	3.13	7 071 997	8 404 632
მოგება ძირითადი საქმიანობიდან		(5 116 005)	(4 332 359)
		1 955 992	4 072 273
მიწოდების ხარჯი	3.14	(125 599)	(595 839)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	3.15	(1 047 874)	(2 153 833)
საექვო მოთხოვნების კორექტირება		-	-
სხვა საოპერაციო ხარჯები		(152 815)	(80 068)
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან		629 704	1 242 533
ფინანსური შემოსავალი		98 892	(0)
ფინანსური ხარჯი	3.16	(105 607)	(480 118)
მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობებიდან		(146 184)	(85 462)
წილი მეკავშირე საწარმოების მოგებაში/(ზარალში) წილობრივი			
მეთოდის შესაბამისად		1 076 373	1 744 100
მოგება/(ზარალი) მეკავშირე საწარმოებში წილის რეალიზაციიდან		-	1 628 715
მოგება/(ზარალი) საინვესტიციო ქონების რეალიზაციიდან		-	(36 267)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	3.17	174 032	30 285
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	3.18	(198 187)	(455 456)
შემოსავალი დივიდენდებიდან		-	312 866
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		1 529 023	3 901 195
მოგების გადასახადი		(36 277)	(47 740)
წლის წმინდა მოგება		1 492 746	3 853 455
წლის სრული შემოსავალი		1 492 746	3 853 455
პერიოდის სრული შემოსავალი მიკუთვნებული:			
სათაო კომპანიის მფლობელებზე		1 553 317	3 896 927
არამაკონტროლებელი წილის მფლობელებზე		(60 571)	(43 472)

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2021 წლის 05 აგვისტოს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი

ლევან გოგია

ფინ. დირექტორი

ემზარ ოთხოზორია

თანდართული შენიშვნები მე-13-დან 51-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კონსოლიდირებული საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება


2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/(დაუფარა ვი ზარალი)	სულ მშობელი კომპანიის მფლობელთათვის არამაკონტროლებ მისაკუთვნებელი	ელი წილი	სულ კაპიტალი
ნაშთი 31.12.2018	2 000	8 890 479	8 892 479	233 479	9 125 958
ცვლილება ოპერაციების შედეგად	-	3 896 927	3 896 927	(43 472)	3 853 455
კაპიტალის ცვლილება	-	-	-	126 559	126 559
დივიდენდის განაწილება	-	(273 684)	(273 684)	(287 771)	(561 455)
ნაშთი 31.12.2019	2 000	12 513 722	12 515 722	28 796	12 544 518
ცვლილება ოპერაციების შედეგად	-	1 553 317	1 553 317	(60 571)	1 492 746
კაპიტალის ცვლილება	-	-	-	350 000	350 000
წინა წლებში გამოცხადებული და არგაცემული დივიდენდის გაუქმება	-	237 944	237 944	228 783	466 727
დივიდენდის განაწილება	-	(389 476)	(389 476)	-	(389 476)
ნაშთი 31.12.2020	2 000	13 915 507	13 917 507	547 007	14 464 514


კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2021 წლის 05 აგვისტოს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი



ლევან გოგია

ფინ. დირექტორი



ემზარ ოთხოზორია

თანდართული შენიშვნები მე-13-დან 51-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	2020	2019	შენ.
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:			
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	8 247 054	9 326 317	
სხვა შემოსულობანი საოპერაციო საქმიანობიდან	-	29	
მიმწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(4 919 195)	(4 722 159)	
გაცემული შრომის ანაზღაურება	(1 516 596)	(1 896 700)	
სამიწვინებო ხარჯების ანაზღაურება	-	(16 585)	
გადახდილი გადასახადები (მოგების გადასახადის გარდა)	(1 007 691)	(1 963 973)	
გადახდილი მოგების გადასახადი	(68 731)	(58 119)	
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	(16 812)	(12 855)	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საოპერაციო საქმიანობიდან	718 028	655 954	
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:			
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	(611 073)	(1 387 760)	
ძირითადი საშუალებებისა და არამატ. აქტივების გასვლიდან შემოსულობა	-	3 133 649	
გრძელვადიანი ინვესტიციების შეძენა	(54 000)	-	
გრძელვადიანი ინვესტიციების გასვლიდან შემოსულობანი	-	1 628 715	
მიღებული პროცენტები	98 892	-	
მიღებული დივიდენდები	-	1 833 368	
მიღებული მოგების წილი ერთობლივი საქმიანობიდან	680 000	-	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საინვესტიციო საქმიანობიდან	113 819	5 207 972	
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:			
შემოსულობანი აქციების ემისიისაგან / კაპიტალის ზრდისაგან	56 021	-	
სესხების აღება	216 783	1 295 574	
სესხების დაფარვა	-	(4 960 705)	
გადახდილი პროცენტები	(9 505)	(373 295)	3.19
გადახდილი დივიდენდები	(370 000)	(260 000)	
ტრანზაქციები არამაკონტროლებელი წილთან (საწესდებო კაპიტალის შევ)	-	70 538	
ტრანზაქციები არამაკონტროლებელი წილთან (დივიდენდების გადახდა)	-	(54 117)	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საფინანსო საქმიანობიდან	(106 701)	(4 282 004)	
ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული ზრდა / კლება (ნეტო)	41 795	(381)	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:	766 941	1 581 541	
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის დასაწყისისათ	1 843 222	261 681	
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის ბოლოსათვის:	2 610 163	1 843 223	

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2021 წლის 05 აგვისტოს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი

ლევან გოგია

ფინ. დირექტორი

ემზარ ოთხოზორია

თანდართული შენიშვნები მე-13-დან 51-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შემცირების მიზნით ჩვენ ვცდილობთ კონსტრუქციულ დიალოგში შევიდეთ სახელმწიფო ორგანოებთან და სადაც შესაძლებელია ვცდილობთ გარე რჩევებისა და რეკომენდაციების მიღებას მოსალოდნელ ცვლილებაზე საკანონმდებლო სისტემაში. ჯგუფში გაწერილია სხვადასხვა პროცედურები და კონტროლის მექანიზმები, რათა ჯგუფმა კეთილსინდისიერად შეასრულოს დაკისრებული მოვალეობები და რეგულაციებთან შესაბამისობაში იყოს. ჯგუფის იურიდიული დეპარტამენტი მონაწილეობს ყველა არსებითი ხელშეკრულებისა თუ კონტრაქტის გაფორმების პროცესში, ფინანსურ დეპარტამენტთან არსებული საგადასახადო აღრიცხვის განყოფილება კი მუდმივად თვალს ადევნებს ცვლილებებს საგადასახადო კანონმდებლობაში. ჯგუფში რეგულარულად გამოცდილი და პროფესიონალებით დაკომპლექტებული გუნდის მიერ ტარდება შიდა აუდიტი. შედეგები განიხილება შესაბამისი მიმართულების მიერ ყოველკვარტალურად.

- ჯგუფის წარმატება დამოკიდებულია მის უნარზე მიიზიდოს და შეინარჩუნოს პროფესიონალი კადრები. თუ ჩვენ ვერ შევძლებთ წარმატებით შევასრულოთ ეს ფუნქცია, ჯგუფის განვითარება, შეთავაზებული საქონლისა და სერვისების ხარისხი და რეპუტაცია საფრთხის წინაშე იქნება. რისკს ზრდის ისიც, რომ ქვეყანაში მაღალკვალიფიციური პროფესიონალების ნაკლებობაა. სწორედ ამიტომ, ჩვენთვის პრიორიტეტულია ეს საკითხი და ჯგუფი ბევრ რესურსსა და ენერგიას ხარჯავს ამ მიმართულებით, რაც გამოიხატება კონკურენტულ ანაზღაურებასა და სხვა სარგებელში, რომელსაც ჩვენს თანამშრომლებს ვთავაზობთ.
- ჯგუფის შემოსავლებზე არსებითი ზეგავლენა შეიძლება მოახდინოს ასევე საბაზრო რისკებმაც, კერძოდ ქვეყანაში არსებული არასაკმარისი რეგულაციებისა და კონტროლის არსებობის გამო, ჯგუფი შეიძლება აღმოჩნდეს არახელსაყრელ და არაკონკურენტულ გარემოში სხვა მწარმოებლებთან და მიმწოდებლებთან მიმართებაში, რამაც შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს ჯგუფს. აღნიშნული რისკის შესამცირებლად ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება დამოუკიდებელი, ობიექტური და სერტიფიცირებული საწარმოო ლაბორატორიის აშენების შესახებ, რომელიც უზრუნველყოფს ჩვენ მიერ წარმოებული საქონლის მაღალ ხარისხს.
- ჯგუფს აქვს ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და საოპერაციო რისკი. კიბერ-თავდასხმებმა და თავდაცვის სისტემების დარღვევამ შესაძლოა მნიშვნელოვანი და კონფიდენციალური მონაცემების დაკარგვა გამოიწვიოს. აღნიშნული რისკების შესამცირებლად ჯგუფს დანერგილი აქვს სხვადასხვა თანამედროვე პროგრამული უზრუნველყოფა და მომავალშიც გააგრძელებს ახალი პროგრამების დანერგვას.
- 2020 წელს, მსოფლიო მასშტაბით, გავრცელდა ახალი კორონავირუსი COVID-19, რაც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ 2020 წლის 11 მარტს, გამოცხადებულ იქნა პანდემიად. შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, კომპანიას შეექმნა უმნიშვნელო ფინანსური სირთულეები, მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მის ძირითად მომხმარებლებზე არ იმოქმედებს არსებული გარემოება და კომპანია უწყვეტ რეჟიმში შეძლებს ფუნქციონირებას.

საქმიანობის მიმოხილვა მომზადებულია შპს „ვი თი ჯგუფის“ დირექტორის ლევან გოგიას მიერ
2021 წლის 05 აგვისტოს;

ლევან გოგია